დებატები სკოლაში

სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის

გორი,
2013

პროექტის კოორდინატორები: ანტონი სტშემეჩნი
მეგი ბიბილური

რედაქტორები: ანტონი სტშემეჩნი
მეგი ბიბილური

ავტორები: ანნა გალერ, მიხალ ტრაგაჟ,
ანდჟეი ვიტკოვსკი, ეუდიტა ზიეტკოვსკა

თარჯიმანი: ლელა პაპუაშვილი

სტილისტ კორექტორი: ნათუნა ბალიაშვილი
ვახტანგ ძანძავა

დამკაბადონებელი: შალვა მურადაშვილი

„დებატები სკოლაში – სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის“ ხელმისაწვდომია მხოლოდ პოლონეთისგან მინიჭებული Creative Commons Attribution 3.0 ავტორობის ლიცენზიით. ყველა უფლება დაცულია „სამოქალაქო საგანმანათლებლო ცენტრის“ მიერ. პუბლიკაცია დაფინანსებულია 2013 წელს პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო დახმარების პროგრამის ფარგლებში – „დემოკრატიის ხელშეწყობა“. ნებადართულია ნაშრომის გამოყენება იმ პირობით, თუ გამოყენებული ლიცენზიისა და უფლებების შესახებ, აგრეთვე „პოლონური პროგრამების თანამშრომლობის განვითარების შესახებ“ ინფორმაცია იქნება დაცული.

პუბლიკაცია მომზადებულია პროექტის „დებატების სკოლის“ ფარგლებში.

პოლონეთის დახმარება

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო დახმარების პროგრამის ფარგლებში – „დემოკრატიის ხელშეწყობა“.

Fundacja Solidarności Międzynarodowej

პუბლიკაცია წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ მისი ავტორების აზრს და არ გამოხატავს პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ მოსაზრებას.

პროექტის შემსრულებლები

სამოქალაქო
საგანმანათლებლო ცენტრი

„მეგობრობის ხიდი
– ქართლოსი“

KARTLOSI

ქალბატონები და ბატონები,

საქართველოს საგანმანათლებლო ცენტრს მიაჩნია, რომ სკოლა შესაძლებელია იყოს ის ადგილი, სადაც ახალგაზრდები თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ შეხედულებებს, განიხილავენ სკოლასთან დაკავშირებულ პრობლემებს და, ასევე, მოიძიებენ პრობლემებიდან გამოსვლის გზებს, რაც დებატების საშუალებითაა შესაძლებელი. მრავალი წლის განმავლობაში საქართველოს საგანმანათლებლო ცენტრი მუშაობს სასკოლო თვითმართველობის და ახალგაზრდების გააქტიურების მეთოდების დანერგვის პროექტების რეალიზაციაზე. ფონდის გამოცდილებიდან გამომდინარე, დებატები ამაღლებს მოსწავლეთა ცნობიერებას და ხელს უწყობს საკუთარი საჭიროებების ჩამოყალიბებას, ასევე, სხვათა აზრის გათვალისწინებას. აღნიშნული ცნობარი, უპირველესყოვლისა, განკუთვნილია მასწავლებლებისთვის, რომლებსაც სურთ მოსწავლეების დებატებში ჩართვა, მაგრამ პუბლიკაციის გამოყენება, აგრეთვე, შეუძლიათ მოსწავლეებს, დირექტორებს, თვითმმართველობის კურატორებს და ყველა იმ ადამიანს, რომლებსაც სურთ სკოლის თვითმმართველობის განვითარება. ვფიქრობთ, რომ ცნობარში წარმოდგენილი მეთოდები ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჩართულობას სკოლის პრობლემების მოგვარებისას გადაწყვეტილების მიღების დროს.

ანტონი სტუმეჩნი,

საქართველოს საგანმანათლებლო ცენტრი პროექტის „დებატების სკოლის" კოორდინატორი

სარჩევი

ნაწილი პირველი – თვითმმართველობა სკოლაში ---------- 6

რა არის თვითმმართველობა? ---------- 6

თვითმმართველობის იდეა ---------- 6

რას წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობა? ---------- 7

სკოლის თვითმმართველობა ---------- 9

მოსწავლეთა თვითმმართველობა, როგორც
დემოკრატიის ლაბორატორია ---------- 9

მოსწავლეთა თვითმმართველობის კურატორის როლი ---------- 11

რისთვის არსებობს სკოლის თვითმმართველობა? ---------- 14

ჩაერთეთ საქმიანობაში ---------- 17

როგორ მოვიზიდოთ მოსწავლეთა
ჯგუფის დიდი რაოდენობა? ---------- 18

ნაწილი მეორე – დებატები სკოლაში ---------- 19

სკოლის თანამეგობრობასთან დაკავშირებული
მნიშვნელოვანი საკითხების აღმოჩენა ---------- 20

არგუმენტების შექმნა ---------- 27

დებატების მარტივი ხერხები ---------- 32

ფართო დისკუსიის წარმართვის საშუალებები ---------- 38

ხედვა, თუ რისი მიღწევა გვსურს მომავალში ---------- 52

ნაწილი პირველი – თვითმმართველობა სკოლაში

ანნა გალერ, მიხალ ტრაგაჟ,
ანდჟეი ვიტკოვსკი, ეუდიტა ზიედკოვსკა

რა არის თვითმმართველობა?

განათლების სისტემის კანონიდან გამომდინარე, მოსწავლეთა თვითმმართველობა არსებობს თითოეულ სკოლაში. შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს? მრავალ სკოლაში თვითმმართველობა შემოიფარგლება მეტნაკლებად დემოკრატიული არჩევნების ჩატარებით, რომელიც სკოლის აკადემიის თავმჯდომარის და რამდენიმე პირის ორგანიზებით ტარდება.

ახდენს თუ არა გავლენას ამგვარი აქტივობები თვითმმართველობის დაფუძნებაზე? შევეცადეთ ჩვენს პუბლიკაციაზე ამ კითხვებისთვის გვეპასუხა.

თვითმმართველობის იდეა

მოსწავლეთა თვითმმართველობის იდეა უფრო ადრე დაიბადა, ვიდრე სკოლის თვითმმართველობის იურიდიული რეგულირება შემოიღეს. XIX საუკუნეში უკვე იყო საუბრები მოსწავლეთა ავტონომიის შესახებ, ხოლო XX საუკუნეში პოლონელმა პედაგოგებმა – იანუშ კორჩაკმა და ალექსანდრე კამინსკიმ მოსწავლეთა თვითმმართველობის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დასჯის და მკაცრი დისციპლინის ნაცვლად, მოსწავლეებს უნდა მისცემოდათ ჩამოყალიბების შესაძლებლობა და გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის საშუალება, რაც, თავის მხრივ, პასუხისმგებლობას გაზრდიდა მათ ჯგუფზე, სივრცეზე და ასწავლიდა მათ ჩართულობას.

სამოქალაქო განათლების გამოკვლევისას გამოვლინდა, რომ სკოლის პრობლემისას მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილება და გამოცდილება, ასაკში მყოფთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობაზე დიდ გავლენას ახდენს. რატომ არის სკოლის თვითმმართველობა მნიშვნელოვანი?

საგანმანათლებლო ასპექტის გარდა, მოსწავლეებს ეძლევათ იმ რეალური პრობლემების გადაწყვეტის საშუალება, რომელთაც ისინი შეხვდნენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავარჯიშოები, ანდა სიმულაციები, არ წარმოადგენს თამაშს, არამედ, ეს მნიშვნელოვანი რეალური მუშაობაა საკითხებთან დაკავშირებით.

თვითმმართველობის დახმარებით, მოსწავლეებს არსებული საკითხების გადაჭრის საშუალება უშუალოდ ეძლევათ.

სკოლის რეალობიდან გამომდინარე, როგორ მუშაობს ეს ყველაფერი, არის თუ არა შესაძლებელი თვითმმართველობის იდეის რეალიზაცია პოლონულ სკოლებში ჭეშმარიტი?

> **თვითმმართველობა წარმოადგენს სამუშაოს, რომელიც თანაბარ გავლენას ახდენს ყველა იმ პირზე, რომლებიც ერთად მუშაობენ, სწავლობენ, ერთად ატარებენ დღის ნახევარს, ერთმანეთს არ ავნებენ, არ უშლიან ხელს, კი არ დასცინიან, არამედ ეხმარებიან, ზრუნავენ და წესრიგს ყურადღებას აქცევენ.**
>
> ***იანუშ კორჩაკი***

რას წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობა?

მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის მოსწავლეთა გარკვეულ რაოდენობას მოიცავს. არჩეული წარმომადგენლები მოსწავლეთა ინტერესებს იცავენ და ზრუნავენ. სასურველია გვახსოვდეს, რომ სკოლის შინაგან საქმიანობაში, რაც შეიძლება მეტმა მოსწავლემ მიიღოს მონაწილეობა. აგრეთვე,

არანაკლებ სასურველია, გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობა, რაც სკოლაში არსებულ სიტუაციაზე გავლენას ახდენს.

მოსწავლეთა თვითმმართველობა ინსტიტუციაა, რომელმაც ახალგაზრდებს პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის საშუალება უნდა მისცეს და მიიღონ გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც მათ ეხება, აგრეთვე, სკოლის ერთობლივ მართვას და კამათში მონაწილეობის მიღებაზე. მოსწავლეთა თვითმმართველობის როლს მოსწავლეთა უფლებების დაცვაც წარმოადგენს.

თვითმმართველობას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ინიციატივის დანერგვის პროცესში.

თვითმმართველობა მოსწავლეებს ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღებას და შედეგების პროგნოზირებას ასწავლის. მისი დახმარებით მოსწავლეები საკუთარი აზრის გამოხატვის უნარს იძენენ, ხდებიან უფრო დამოუკიდებელნი და მტკიცენი, ინიციატივების გამოხატვას და აღებული ვალდებულებების რეალიზაციას სწავლობენ.

ხშირად ჩნდება საშიშროება, რომ მოსწავლეები და ახალგაზრდები იმისთვის არიან, რომ პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღონ, დამოუკიდებლად მოიძიონ გამოსავალი, ანდა, შეძლონ მათი გარემოს განვითარება. არსებობს მოსაზრება, რომ ახალგაზრდებს არ გააჩნიათ სათანადო გამოცდილება და უნარები, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ამ პრობლემას სხვა კუთხითაც შევხედოთ: სად, თუ არა სკოლაში, პრაქტიკების და აქტივობების საშუალებით, მოსწავლეებს მიეცემათ მისი მიღების საშუალება?

სკოლის თვითმმართველობა

ცოდნის გადმოცემის გარდა, სკოლის როლი, ასევე, მოსწავლეთა ჯგუფებში ერთობლივი საქმიანობის ჩატარებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეგნებულ მონაწილეობაში, საკუთარი ინიციატივებით გამოსვლასა და აქტივობებში ჩართულობაში მდგომარეობს. არსებული საგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადად, ამგვარი ტიპის სკოლის როლს ხაზს უსვამს. ვინაიდან, პრაქტიკული სავარჯიშოების და აქტივობებში ჩართულობის გარეშე შეუძლებელია თეორიული ცოდნის საშუალებით აღნიშნული უნარების შეძენა. განათლების პროცესი მიზნის განხორციელებისას ვლინდება, ხოლო მისი მიღწევა ამ პროცესის კულმინაციას წარმოადგენს. როდესაც სიმძიმის ცენტრი შედეგიდან პროცესზე გადადის, ახალგაზრდათა თვითმმართველობა სათანადო გადაწყვეტილებას იღებს და საკითხების გადაჭრის დროს აქტიურად ერთვება. საზოგადოებრივი უნარების შეძენის თვალსაზრისით, საგანმანათლებლო მნიშვნელობა ზუსტად ამ პროცესებში მდგომარეობს. წარმატება მათი ძალისხმევის ჯილდოა, მაგრამ უფრო მეტი სწავლაა შესაძლებელი დაშვებული შეცდომების გაანალიზებით და არა წარუმატებლობის მიზეზების ძიებით. ეს ხორციელდება არა იმისთვის, რომ დამნაშავეები გამოვავლინოთ, არამედ გამოვიტანოთ დასკვნები იმ თემების შესახებ, რომლებიც დახვეწას, ან უნარების შეძენას საჭიროებს, რომლებზეც უნდა ვივარჯიშოთ.

მოსწავლეთა თვითმმართველობა, როგორც დემოკრატიის ლაბორატორია

სკოლის თვითმმართველობის ფუნქციონირება, შესაძლებელია, რომ დემოკრატიის ლაბორატორიამდე იყოს მიყვანილი.

ლაბორატორიაში მოსწავლეები ექსპერიმენტების, გამოცდილების და აქტივობების მეშვეობით შეისწავლიან უნივერსალურ

სოციალურ მექანიზმებს, იძენენ ინდივიდუალურ უნარებს, კრიტიკულ აზროვნებას, საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას და დაცვას. მოსწავლეებს საკუთარი გადაწყვეტილებების შედეგებთან, ან საქმიანობასთან გამკლავება მოუწევთ.

იმისთვის, რომ ლაბორატორიამ სრულფასოვანი საქმიანობა შეძლოს, უნდა აღიჭურვოს შესაბამისი მოწყობილობით, რაც, თავის მხრივ, შესაბამისი წესების – ნორმების დაცვას საჭიროებს. არსებობს დაკისრებული კანონი ან განკარგულება, მაგრამ დიდი ნაწილი სკოლის საზოგადოების დებულებას და თვით მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებას, სასკოლო ტრადიციებს და არაფორმალურ წესებს უკავია. ლაბორატორიაში არსებობს სხვადასხვა რეაგენტი, მოწყობილობა, ინსტრუმენტი. ვერავინ შეცვლის საშიშროებებს – გაზის სანთურს ვერ შეცვლიან ხელოვნურით, ვინაიდან მასზეა დამოკიდებული ექსპერიმენტის წარმატება. იგივე პროცესები არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობის შემთხვევაშიც. იმისთვის, რომ მივაღწიოთ წარმატებას, პარტნიორული ურთიერთობა და ჭეშმარიტი ნდობაა საჭირო.

არსებობს შემთხვევები, როდესაც სპონტანურად ხდება მასწავლებლების თვითმმართველობაში წარმომადგენლად, ხოლო დირექტორის მიერ თავმჯდომარის, ან საბჭოს არჩევა. აღნიშნულ შემთხვევაში, თვითმმართველობა აღარ წარმოადგენს დემოკრატიულ ლაბორატორიას, ხშირ შემთხვევაში არც ჭეშმარიტი თვითმმართველობაა. ამგვარ პრაქტიკას ახლავს არგუმენტები, რომ მოსწავლეები წარმომადგენლებს ირჩევენ ცუდად, სერიოზულად არ უყურებენ არჩევნებს და არსებობს არაკომპეტენტური კანდიდატის არჩევის საშიშროება, რაც სკოლაში ზედმეტ დაბნეულობას ქმნის. სკოლებში ორგანიზებული არჩევნები გვიჩვენებს, რომ ამგვარი შიში უსაფუძვლოა, რაც CEO გამოცდილებიდან გამომდინარეობს. მოსწავლეთა არასწორი დაცვა, ფაქტობრივად, რეალური ცოდნის, შეცდომებზე

სწავლის და საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღებიდან იცავს.

თუ მოსწავლეთა თვითმმართველობა უნდა წარმოადგენდეს დემოკრატიულ ლაბორატორიას, მაშინ არსებობს ორგანოების დემოკრატიული არჩევნების საჭიროება (საყოველთაო პირდაპირი, თანასწორი და ფარული არჩევნები). თვითმმართველობას უნდა გააჩნდეს ფაქტიური უფლებამოსილება, ავტონომია და ქმედების თავისუფლება, რაც უფროსებისგან არ არის დაკისრებული, მაგრამ მათთან შეთანხმებითაა შემუშავებული.

მხოლოდ დემოკრატიულ თვითმმართველობას შეუძლია ეფექტურად შეასწავლოს ახალგაზრდებს თვითორგანიზება და პასუხისმგებლობა ჯერ სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხოლო შემდგომ ზრდასრულ, ადგილობრივ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

დავუბრუნდეთ ლაბორატორიაში მუშაობას, სადაც შესაძლებელია ექსპერიმენტების ჩატარება ყველა სუბსტანციასთან, როგორიცაა ამიაკი და ნიტროგლიცერინი. საჭიროა მხოლოდ იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ მათთან. იგივე სიტუაციაა მოსწავლეების მოსაზრებებთან დაკავშირებით. მათზე უარის თქმის ნაცვლად, სასურველია ერთობლივად, დაწვრილებით გავაანალიზოთ და განვიხილოთ მათი რეალიზაციის სტრატეგია.

მოსწავლეთა თვითმმართველობის კურატორის როლი

მოსწავლეთა თვითმმართველობის კურატორის ეფექტურ და სასარგებლო საქმიანობის პირველ ნაბიჯს მისი როლის განსაზღვრა წარმოადგენს. გთავაზობთ რამდენიმე ძირითადი განსაზღვრის ჩამონათვალს:

1. კურატორი არ არის თვითმმართველობის, ანდა საბჭოს წევრი;

2. კურატორს შესაძლებელია ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის დავალება, რაც სკოლის დონიდან და მოსწავლეების აქტივობებიდან გამომდინარეობს და მისი როლი მოსწავლეებთან უნდა იყოს შეთანხმებული;

3. მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის წარმატებებსა და წარუმატებლობებზე პასუხისმგებლობა მოსწავლეებს ეკისრებათ და არა კურატორს;

4. კურატორმა დახმარება უნდა გაუწიოს მოსწავლეებს იმ შემთხვევაში, თუ მათ შესაბამისი ცოდნა, ან გამოცდილება არ გააჩნიათ, მაგრამ მათი თვითმმართველობის ლიდერად არ უნდა იქცეს.

კურატორი, რომელიც თვითმმართველობას უწევს მხარდაჭერას	კურატორი თვითმმართველობის ლიდერის როლში
მოსწავლეების მხარეს წარმატებების და წარუმატებლობის პასუხისმგებლობას ტოვებს	მოსწავლეთა საქმიანობის ეფექტურობაზე გრძნობს სრულ პასუხისმგებლობას
მოსწავლეებს დამოუკიდებლად აზროვნებისკენ მოუწოდებს	საკუთარ აზრებს თავს ახვევს
მოსწავლეებისგან განხორციელებული რეალიზაციის შემთხვევაში რთული სიტუაციის არსებობის დროს მხარს უჭერს მათ	იმ შემთხვევაში, თუ არავინ დათახმდება, ანდა ვერ ახერხებენ დავალების ნაწილის შესრულებას, თავად არსულებს მას
იმგვარად ეხმარება ჯგუფის ჩამოყალიბებაში და სამუშაოს დაგეგმვაში, რომ მოსწავლეებს განრიგის მიხედვით მიეცეთ მუშაობის საშუალება	მოვალეობების და პასუხისმგებლობის შეთავსებას აკონტროლებს

ახორციელებს ინფორმაციის გადაცემას (შუამავლობას), რითაც აადვილებს ურთიერთობებს დირექციას და მოსწავლეებს შორის	მოსწავლეებს ზევიდან დაკისრებული დავალებების შესრულებას ავალდებულებს
მოსწავლეებს უმარტივებს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღებას და მხარს უჭერს მათ კომპრომისების ძიებისას	მოსწავლეების შეუთანხმებლობის შემთხვევაში, თავად იღებს გადაწყვეტილებას
შეხვედრების დროს არ დომინირებს, ან საერთოდ არ ესწრება მათ, თუ მოსწავლეები თვითონ არ სთხოვენ დასწრებას	მოსწავლეებთან თვითმმართველობის შეხვედრებს ატარებს
ცდილობს, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები უშუალოდ დააკავშიროს დირექციასთან იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მასთან უნდა შეათანხმონ	დირექციასთან ურთიერთობისას მოსწავლეთა თვითმმართველობის ერთადერთი წარმომადგენელია
თვითმმართველობის მოსწავლეები ახორციელებენ მხარდაჭერას საქმიანობასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი რეგულირების შექმნაში (საარჩევნო კანონი, დებულება) და მათ სამუშაო გეგმის შექმნის საშუალებას აძლევს	დამოუკიდებლად შეიმუშავებს მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის გეგმას, საარჩევნო კანონს და დებულებას
ახალგაზრდებს საკუთარი გადაწყვეტილებების შედეგების პროგნოზირებას და რისკების შეფასებას ასწავლის	ბრძანებს, კრძალავს, ან არ ეთანხმება

რისთვის არსებობს სკოლის თვითმმართველობა?

კურატორი ხშირად განმარტავს, თუ რისთვის არსებობს სკოლის თვითმმართველობა?

— ამგვარი კითხვები ისმება თითქმის ყველა სკოლაში. აქედან გამომდინარე, ურიგო არ იქნება, თუ რამდენიმე არგუმენტს გამოვიყენებთ.

მოსწავლეთა პერსპექტივებიდან გამომდინარე:

- **მათ უშუალო გარემოზე ზეგავლენის მოხდენა** — მოსწავლეები სკოლაში კვირის უმეტეს ნაწილს ატარებენ, ურიგო არ იქნება იმის ცოდნა, შეუძლიათ თუ არა მათ ერთობლივად მიიღონ გადაწყვეტილება, თუ როგორ იფუნქციონირებენ;
- **კომუნიკაციის გაუმჯობესება** — მოქმედი თვითმმართველობის დახმარებით ყველას გააჩნია ინფორმაცია, თუ რა ხდება სკოლაში, რაც აუმჯობესებს ატმოსფეროს და შესაძლო პოტენციური კონფლიქტების გადაწყვეტა ამარტივებსს;
- **საკუთარი უნარების განვითარების შესაძლებლობა პრაქტიკაში** — ცოდნა მიიღება არა მხოლოდ ტრადიციულ ლექციებზე; სხვადასხვა ტიპის თემატური და საზოგადოებრივი პროექტებით, რაც ერთ-ერთ მეცნიერულ სახეობას წარმოადგენს. კონკრეტული თემის შესახებ ცოდნის მიღების გარდა, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ განავითარონ ჯგუფში მუშაობის უნარები, კომუნიკაცია, დროის მართვა და საკუთარი თავის პრეზენტაცია მოახდინონ;
- **მოლაპარაკების და საკუთარი თავის პრეზენტაციის მეცნიერება** — მოსწავლეები თვითმმართველობის საქმიანობის დახმარებით მოლაპარაკებებს, საკუთარი საჭიროებების იერარქიზაციას და კომპრომისების მიღწევას შეისწავლიან. იმისთვის, რომ მოსწავლეებმა მხარდაჭერა მიიღონ, უნდა შეეძლოთ საკუთარი მოსაზრების საინტერესოდ წარდგენა და თვითდამკვიდრებისკენ სწრაფვა.

როდესაც მასწავლებლებს ეჭვი ეპარებათ:

- მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელს უწყობს ახალგაზრდებს შორის პარტნიორობის განვითარებას, რაც, თავის მხრივ, მწვავე კონფლიქტების და კამათებისგან თავის არიდებას იწვევს.
- მოსწავლეებისგან განხორციელებული საქმიანობა თვითმმართველობის პრაქტიკაში დემოკრატიის კარგ გაკვეთილს წარმოადგენს: ახალგაზრდები სწავლობენ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ორგანიზებას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობას, მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში გააზრებულ ჩართულობას;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ წარმატებული საქმიანობის განხორციელებისას, სკოლა უფრო მაღალ საფეხურზე ავა, რაც სირთულეების გადალახვაში გამოიხატება;
- მოსწავლეებმა უკეთესად იციან, თუ რაში მდგომარეობს მათი პრობლემები და ამ პრობლემების წარმოშობის მექანიზმები, ამიტომაც, სკოლების უმეტესობაში არსებობს ახალგაზრდათა ჯგუფი, რომლებმაც პრობლემების ეფექტურად გადაწყვეტა იციან;
- მოსწავლეები, რომლებსაც უყვართ საკუთარი სკოლა, სწავლისთვის უფრო მოტივირებულნი არიან.
- ზოგიერთ მოსწავლეს, ვისთვისაც სწავლა პრობლემას წარმოადგენს, მოსწავლეთა თვითმმართველობა საკუთარ თავში ნიჭის აღმოჩენის შესაძლებლობას აძლევს და შანსი უჩნდება სასწავლო პროგრამის გარდა, სხვა სფეროებშიც საუკეთესო იყოს.

თუ დირექცია გვკითხავს...

- მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ, სკოლის საჭიროებების ეფექტური და რაციონალური დიაგნოზირება, რაც სკოლას ეფექტური გეგმის შემუშავებაში და, საჭიროებებიდან გამომდინარე, ცვლილების განხორციელებაში ეხმარება;
- წარმატებული თვითმმართველობა მოსწავლების და მთლიანად სკოლის საზოგადოების ინტეგრაციას ახდენს;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობიდან გამომდინარე, წარმოებს მეცნიერების და გართობის (თამაშის) თანასწორი დაყოფა, რაც სკოლაში სასიამოვნო ატმოსფეროს ქმნის;
- მოსწავლეთა ჩართულობა თვითმმართველობის საქმიანობაში მეწარმეობის და პასუხისმგებლობის სკოლას წარმოადგენს;
- მოსწავლეთა თვითმმართველობას შეუძლია საქმიანობა სკოლის გარეთაც აწარმოოს;
- მოსწავლეთა თვითმმართველობას სკოლაში ინფორმაციის მიმოსვლის გაუმჯობესება შეუძლია;
- მოსწავლეთა დიდი კონტიგენტის მქონე სკოლებში დირექციას და მასწავლებლებს ყველა მოვლენის გაკონტროლება უძნელდებათ, ხოლო ორგანიზებულ მოსწავლეებთან თანამშრომლობა მათ პრობლემების გადაწყვეტაში და, უპირველეს ყოვლისა, პრობლემების დაფიქსირებაში დაეხმარება.

ჩაერთეთ საქმიანობაში

თვითმმართველობაში მონაწილეობა ყველა მოსწავლეს შეუძლია. თუ მის წარმომადგენლებს სურთ თანაორგანიზება გაუწიონ სკოლის ცხოვრებას და განახორციელონ მოსწავლეთა წარდგენა, მაშინ ამ პროცესში ახალგაზრდების, რაც შეიძლება დიდი ჯგუფი უნდა იყოს ჩართული.

გამოცდილებიდან გამომდინარე, მოსწავლეთა ჩართულობის დაბალი დონე, წარმომადგენლების არჩევის გარდა, თვითმმართველობის სისუსტის ძირითად პრობლემასწარმოადგენს. მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლობის დემოკრატიული არჩევის მიუხედავად, თუ არ იქნება მოსწავლეებს შორის კონტაქტი, მხარდაჭერა და გამოსავლების გზების ძიება, რაიმეს შეცვლა შეუძლებელი იქნება. ახალგაზდების დაბალი აქტივობა დიდ პრობლემას წარმოადგენს, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობების კურატორებისთვის და თვითმმართველობის საქმიანობაში ჩართული პირებისთვის.

როგორ მოვიზიდოთ მოსწავლეთა ჯგუფის დიდი რაოდენობა?

პირველი – **მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან შემოთავაზებული პროექტები და ინიციატივები** (მაგალითად: სკოლის გაზეთის შექმნა-რედაქტირებაში მონაწილეობის მიღება);

მეორე – **ერთობლივი გადაწყვეტილების მიღება**, რომელიც ყველა მოსწავლეს ეხება (მაგალითად: მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის გეგმის კონსულტაცია, ან მოსწავლეთა თვითმმართველობის კურატორის არჩევა);

მესამე – **სხვადასხვა წრეში მონაწილეობის მიღება** (მაგალითად: თეატრალური წრე);

მეოთხე – **მოხალისეების ჩართულობა** სხვადასხვა საქმიანობაში, რომლის განსახორციელებლადაც არაერთი ადამიანი გვესაჭიროება;

მეხუთე – **არჩევნების ორგანიზება** – კანდიდატები არ წარმოადგენენ ყველაფერს, საჭიროა საარჩევნო კომისია, შტაბი და პროდასწრება.

ნაწილი მეორე - დებატები სკოლაში

პროექტში – „დებატების სკოლა“ განკუთვნილია სკოლის თვითმმართველობის განვითარებაზე, რაც შეიძლება მოსწავლეების მიერ დებატებისდროს განხორციელდეს. არსებობს მიზეზების სპექტრი, სადაც დებატი აქტივობის ფორმას წარმოადგენს, რომელიც ახალგაზრდების განვითარების და სკოლის ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებაა. მოყვანილია რამდენიმე მიზეზი:

დებატების როლი სკოლის თვითმმართველობაში
1. დებატების საშუალებით შესაძლებელია სკოლის პრობლემების განხილვა;
2. დებატებში შესაძლებელია ბევრი პიროვნების ჩართულობა;
3. დებატების დახმარებით შესაძლებელია მასწავლებლებთან, დირექციასთან და მშობლებთან საუბრის გამართვა;
4. დებატებისთვის მომზადება სკოლის საჭიროებების განსაზღვრის საშუალებას იძლევა;
5. დებატების დახმარებით შესაძლებელია სხვადასხვა სასკოლო პრობლემის გადაჭრა;
6. დებატების საშუალებით სკოლის თვითმმართველობის ხმა მიეწოდება სკოლას;
7. დებატების ორგანიზება და მასში მონაწილეობის მიღება, მოსწავლეებს რაიმე პრობლემასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის დააფიქსირების საშუალებას აძლევს;
8. დებატების საშუალებით სკოლის გარედან ექსპერტების მოწვევაა შესაძლებელი;
9. დებატები წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის იარაღს, რომელიც მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის შესაძლებელია საინტერესო გამოცდილების შეძენის საშუალებაც იყოს;
10. დებატების წესის დახმარებით, თითოეულ მსურველს ფორუმში მონაწილეობის მიღების საშუალება ეძლევა;

სახელმძღვანელოს შემდეგ ნაწილში წარმოდგენილია პირველი ნაბიჯები, რომლებიც დებატების მომზადებაში დაგეხმარებათ და, ასევე, გთავაზობთ ფორმებს, რომელიც სასკოლო დებატების გამართვის დროს შეიძლება გამოიყენოთ.

„სჯობს გამოხატო მოსაზრება, ვიდრე შენს თავს ეს უფლება წაართვა“

მაგდოლენა სვატ-პავლიცკა,
ალექსანრე პავლიცკი

I. სკოლის თანამეგობრობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების აღმოჩენა:

– ჟიული მიშლემ ლექცია, ბრიტანეთის ისტორიის შესახებ, სიტყვებით – „ინგლისი კუნძულია“ დაიწყო, ჩვენც დავემსგავსებით მას, თუ დასაწყისშივე გავითვალისწინებთ, რომ დებატს გააჩნია თემა, რომლის არჩევაც ადვილი საქმე არაა. დასაწყისში სადისკუსიოდ ყველა განსხვავებულ თემას სთავაზობს. განვიხილოთ რამდენიმე ხერხი, რომელიც, თავის მხრივ, თემების განსაზღვრას და არჩევას გაგვიადვილებს.

I. 1 ზოგადი, ან კონკრეტული კითხვები: რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება თემის ფორმულირებისას?

– დებატების მთავარ მიზანს დარწმუნება წარმოადგენს, ე.ი. ოპონენტი ჩვენს პოზიციაში უნდა დავარწმუნოთ. სანამ საბოლოოდ დაიწყებს რიტორიკული ხასიათის გამოსვლას, მომხსენებელმა დაწვრილებით უნდა განსაზღვროს მნიშვნელოვანი ცნებები, არგუმენტების ფორმულირება და მაგალითების ძიების გზები. შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მნიშვნელოვანია კონკრეტული თემა, რომელიც, დეტალური საკითხიდან გამომდინარე, უფრო ადვილია სადებატოდ, ვიდრე ზოგადი ფილოსოფიური ხასიათის თემები. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დეტალურ კითხვებზე გადასვლამდე, მაინც გვიწევს საერთო პრობლემის ასახვა. ამ მიმართულებით წარმართულ დებატებს არ მიეცემათ პროზაული, ანდა ზედაპირული ხასიათი. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ასახავს ზოგად პრობლემებს, საიდანაც კონკრეტული თემები გამომდინარეობს.

საჭიროებს თუ არა თანამეგობრობა წესების შემოღებას; საჭიროა, თუ არა, წესების შემოღება კლასის წარმატებული ფუნქციონირებისთვის; ხდება თუ არა სამართლიანად შეფასება დამსახურების და ბრალის გათვალისწინებით; არის თუ არა შეფასების ხარისხი სამართლიანი?

დებატების დაწყებამდე სასურველი იქნებოდა მოსწავლეებისთვის შეგვესრულებინა სავარჯიშოები, რომლებიც მათ მისცემდა გააზრების საშუალებას, როგორც ზოგად, ასევე, დეტალურ დონეზე. პირველ შემოთავაზებას თანამეგობრობის საერთო მოსაზრება წარმოადგენს ზოგადი და დეტალური თემების ხასიათზე — თუ რა სიძნელეები გამომდინარეობს და რა სარგებლის მოტანა შეუძლია მათი გადაწყვეტილების მღებიდან გამომდინარე. ასევე, მოვუწოდებთ მარტივი სავარჯიშოების შედგენაზე, რომლებიც დაფუძნებული იქნება, როგორც ზოგადი თემიდან დეტალურ თემაზე გადასვლაზე და, პირიქით, დეტალური თემის შემოთავაზებებიდან, ზოგადი თემის შექმნაზე. პირველ შემთხვევაში, მათ მიეცემათ საშუალება განსაზღვრონ ფილოსოფიის არსებობა მათი ყოველდღიური ცხოვრების გამოცდილებაში. მეორე შემთხვევაში, მათ მიეცემათ საშუალება გააცნობიერონ, რომ თითოეულ კონკრეტულ სიტუაციას ეთიკური და ფილოსოფიური განზომილება გააჩნია.

I. 2 მკაფიოდ როგორ ჩამოვაყალიბოთ დებატების თეზისი?

— იმისთვის რომ, შეხვედრის დროს, სიტყვით გამოსვლისას წარმართული დიკუსია მივიდეს კონკილუზიამდე, საჭიროა კარგად დაფიქრდეთ დებატის თეზისზე. ზერელე ფორმულირებისას, ჩნდება თემიდან გადასვლის და შესაბამისი არგუმენტის მოპოვების შეუძლებლობის საშიშროება. არგუმენტაციის სიმრავლემ შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა თემის შესახებ ზერელე მოსაზრებების ჩამოყალიბება. დებატის დაწყებამდე საჭიროა ტესტის ჩატარება, რომელთან დაკავშირებითაც ვსვამთ რამდენიმე კითხვას, როგორიცაა:

- როგორ მოიაზრებენ თეზისს მისი დამცველები და მოწინააღმდეგეები?
- შესაძლებელია თუ არა თეზისის ფორმაზე დამოკიდებულებით ჩამოყალიბდეს კონტრთეზისი, რომელიც მას შეეწინააღმდეგება?
- რომელ სფეროში ვლინდება არგუმენტაციები, ხომ არ არის ზედმეტად განსახვავებული, რაც, შესაძლებელია, თეზისის ზოგად გამოთქმაში იყოს მიმანიშნებელი?

თემის ინტერესიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია, ჩვენს მიერ შემოთავაზებული მარტივი ხერხები, რომლებიც მოსწავლეების საჭიროებებთან და გამოცდილებასთან დაკავშირებული თემის შექმნაში დაგვეხმარება.

სკოლის ცხოვრებაში არსებული პრობლემებიდან დაშორებამ შეიძლება მიგვიყვანოს იმ ფაქტამდე, როდესაც გართულებული იქნება მსმენელების ჩართულობა გამომსვლელისგან მოხსენებულ თემაში, ამიტომაც, სადებატო თემა უნდა იყოს სადავო და არა – აშკარა.

თეზისების მაგალითები, რომლებიც მოსწავლეთა დისკუსიის შედეგად წარმოიშვნენ:

- სასკოლო გაკვეთილები სავალდებულო უნდა იყოს;
- მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება, დამოუკიდებლად განახორციელონ საკუთარი ქცევის შეფასება;
- მოსწავლე კარგად სწავლობს, როდესაც მას ყურადღებას აქცევენ;
- მოსწავლეებმა გაკვეთილებზე წარმოშობილი პრობლემები თავად უნდა გადაწყვიტონ;
- სკოლა კრეატიულობას ასწავლის;
- თითოეული ეგოისტია;
- მხატრული ლიტერატურის კითხვა დროის დაკარგვად ითვლება;
- ქცევის შეფასება გასაუქმებელია.

დებატები შეგვიძლია გამოვიყენოთ ზემოთ ჩამოთვლილი თეზისების მომზადების დროს და მათი შეფასება მოსწავლეებს ვთხოვოთ. მათგან ყველაზე საინტერესო უნდა აირჩიონ. ამგვარი სავარჯიშოები შეგვიძლია გამოვიყენოთ საკუთარი თეზისების ფორმირებისას. მოსწავლეებთან ერთად უნდა მოვახდინოთ ფორმულირება და შეფასება, არის თუ არა წარმოდგენილი კონკრეტული წინადადებები და დებატის ჩატარების საშუალებები.

I. 3 იერარქიზაცია

იერარქიზაცია მარტივი ხერხია, რომელიც მოსწავლეებს საკითხების დალაგებაში ეხმარება, მათი მნიშვნელობის და გამოსადეგობის მიხედვით. მათი გამოყენება შეგვიძლია, როგორც დებატის თემის, ასევე არგუმენტების შემუშავების დროს.

თითოეულ ჯგუფს ურიგდება ფურცლები, რომელშიც უნდა ჩაიწეროს ის საკითხები, რომლებზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება – თითოეულ ფურცელზე იწერება ერთი საკითხი. ფურცელზე შეიძლება მოინიშნოს:

- პრობლემები, ან საკითხები, რომლებზეც მოსწავლეებს დისკუსია სურთ;
- დებატის კონკრეტულ თემაზე არგუმენტების მომზადება;
- ჯგუფის მიერ ადრე გამოვლენილი სლოგანის, ან საკვანძო სიტყვის ცნების შემოღება;

ვთხოვთ მოსწავლეებს, მიიღონ გადაწყვეტილება ფურცლებზე მნიშვნელოვანი საკითხების ჩაწერასთან დაკავშირებით. მათ შეუძლიათ ფურცლებზე ჩამოწერილი საკითხები დაალაგონ პირამიდის მსგავსად – რომელთაგანაც ამოირჩევენ ყველაზე საინტერესოს და მათი მნიშვნელობის მიხედვით დაალაგებენ. მოსწავლებს ფურცლების დალაგება კომკის ფორმით, ან წრიულად შეგვიძლია შევთავაზოთ.

იერარქიზაციაზე მუშაობა დებატში სიტყვით გამოსვლისთვის გეგმის მომზადების საშუალებას გვაძლევს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია მომდევნო საფეხურზე გადავიდეთ: სიტყვის მომზადებისას დებატიდან გამოვყოთ მნიშვნელოვანი თემა, დავალაგოთ არგუმენტების მიმდევრობა, ან შევქმნათ არგუმენტები, რომლებიც საკვანძო აზრის ცნებას ეფუძნება.

I. 4 კიბე (სამსახურებრივი კიბე), თევზი

– დისკუსიისას შეიძლება დაიბადოს სხვადასხვა ტიპის მოსაზრება, რომლებიც სასურველია დავალაგოთ ვიზუალიზაციის ხერხების მეშვეობით. შესაძლებელია ჩანაწერების ფორმის გამოყენება, რომელიც, ამავდროულად, პრობლემების იერარქიული რიგითობით ჩაწერის საშუალებას მოგვცემს.

ყველაზე ადვილ გრაფიკულ ფორმას კიბე წარმოადგენს. მონაწილეებისთვის კი – თემების რეიტინგის განსაზღვრა უმნიშვნელოდან-მნიშვნელოვნამდე, რაც დებატებშია მიღებული და გადამწყვეტია სკოლის თანამეგობრობისთვის, ან კლასისთვის.

სხვა ტიპის ასახვას საჭიროებს ე. წ. თევზის დიაგრამა. პრობლემების ჩაწერა შესაძლებელია შემგომი მიმდევრობით – ყველაზე მნიშვნელოვანიდან (თევზის თავი) უმნიშვნელომდე. არგუმენტაციების გაწერისას, დებატებისთვის მომზადებისას უფრო სასარგებლოა თევზის ჩონჩხზე არგუმენტების ჩამოწერა. პატარა ფხებზე ჩამოიწერება მაგალითები, ან მოწინააღმდეგის არგუმენტები, ან ამ სფეროდან ნაკლებად მნიშვნელოვანი არგუმენტები.

I. 5 შემაჯამებელი წინადადება

შემაჯამებელი წინადადება (შეჯამება) მარტივი ხერხია, რომელიც ჯგუფის მონაწილეთა მიერ გამოთქმული მოსაზრების შეგროვებაში გვეხმარება. მისი გამოყენება შეგვიძლია

რომელიმე ეტაპის, ან მეცადინეობის ყველაზე მარტივად შეჯამებისას. წამყვანი დაფაზე, ან პლაკატზე დაუსრულებელ წინადადებებს წერს და თითოეულ მოსწავლეს ერთ-ერთი მათგანის არჩევას და დამთავრებას სთხოვს.

წინადადება შეიძლება შეეხოს ყველა არსებულ საკითხს, მაგალითად: „ჩემთვის, ჩვენს სკოლაში ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს...“, „სწავლაში ხელს მიშლის...“, „ჩვენი სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს...“ „მინდა ჩავერთო საქმიანობაში, რომელიც ეხება...“, „იმისთვის, რომ დავეხმაროთ ჩვენი რაიონის მცხოვრებლებს, შეიძლება“...

შემაჯამებელი წინადადება შეიძლება მოვიძიოთ სხვადასხვა ხერხით, რაც ჩვენს მისაღწევ მიზანზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ დისკუსიის დროს, გამოსვლის შემდეგ გამოითქვას აზრი, მაშინ შეგვიძლია შევაჯამოთ **„ირგვლივ დაძალების გარეშეს“** მაგალითზე, რომელიც მონაწილეს საშუალებას აძლევს, გამოსვლისას გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, ან თქვას **„პასი“. „ირგლივ დაძალების გარეშეს“** მონაწილესთვის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს არჩევანის გაკეთების საშუალების მიცემა, რაც თავისთავად უსაფრთხოების განცდას ზრდის. თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს აზრი გამოთქვას, ფორუმის შედგენის, სხვადასხვა აზრის მოსმენის შანსი გააჩნია და შეუძლია საკუთარი აზრის გამოთქმისაგან თავი შეიკავოს. უნდა ეცადოთ, რომ **„ირგლივ დაძალების გარეშეს“** დროს არავინ გამოგრჩეთ.

შემაჯამებელი წინადადება შეგვიძლია სტიკერებზე ჩავწეროთ. მოსწავლეებს დაფასთან გასვლისას შეუძლიათ მისი მიწებება ნებისმიერ ადგილზე.

მოსწავლეთა თანამეგობრობისგან შემოთავაზებულ თემებზე წარმოებული დებატების შედეგი მნიშვნელოვანი მოსაზრებების შეჯამება იქნება.

I. 6 ორი შეხვედრა

ორი შეხვედრა წარმოადგენს მეთოდს, რომლის დროსაც დისკუსიის დახმარებით მოსწავლეთა სასკოლო თანამეგობრობისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოძიების საშუალებას იძლევა, რაც ორ ეტაპად ტარდება.

პირველი ეტაპი შეხვედრის მომმზადებლის მიერ დისკუსიისას შემოთავაზებული საკითხების რამდენიმე ჯგუფში განხილვას ეფუძნება. მაგალითად, საკითხები შეიძლება იყოს: უმცროსი და უფროსი კლასელების თანამშრომლობა, ურთიერთობა სკოლის თანამეგობრობასთან და სკოლასთან მიახლოებულ გარემოსთან, სკოლის ცხოვრებაში მშობლების მონაწილეობის მიღებას და ა. შ. ურიგო არ იქნება, თუ საკითხებს ფორმულირებას მოსწავლეები გაუწევენ. ჯგუფებში შეხვედრისას მოსწავლეებმა უნდა დაადგინონ, თუ როგორ შეიძლება შეფასდეს მოცემული სიტუაცია. შემოიღონ აღნიშვნა – ორი პლუსი (ძალიან კარგი), პლუსი (კარგი, მაგრამ, შესაძლებელია, რაიმეს შეცვლაც), მინუსი (ნათლად ვხედავთ ცვლილების საჭიროებას), ორი მინუსი (სიტუაცია საჭიროებს სწრაფ ცვლილებას). ჯგუფში უნდა იმუშაონ კლასელებმა, ან თანატოლებმა. მნიშვნელოვანია, რომ მათი შეფასება შესაბამისი გამოცდილებიდან გამომდინარეობდეს. მოსწავლეებმა უნდა შეაგროვონ ყველა არგუმენტი, რომლებიც მათ შეფასებას და არჩეულ პოზიციას ამართლებს.

მეორე ეტაპს თითოეული ჯგუფის წარმომადგენლების შეხვედრა წარმოადგენს, რომლის დროსაც მონაწილეები თავიანთი ჯგუფის არგუმენტების და პოზიციის წარდგენას ახორციელებენ. პრეზენტაციის შემდგომ, თითოეული ჯგუფის წარმომადგენელი ერთობლივად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რომელი საკითხი უნდა გახდეს დებატების საგანი, სამომავლოდ რა თემაზეც დაინტერესებული პირების მოწვევა იქნება შესაძლებელი.

ორი შეხვედრის საშუალებით, მოსწავლეებს საშუალება ეძლევათ დამოუკიდებლად ჩამოაყალიბონ მომდევნო დისკუსიისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

I. 7 საკვანძო ცნებები

ეს ხერხი არგუმენტების ჩამოყალიბებაზე მუშაობის დროს გამოიყენება. თემების, ან თეზისების წარდგენის შემდეგ ვთხოვთ მოსწავლეებს, შეაგროვინ ყველა საკვანძო ცნება, რომელიც თემას ეხება და ისინი რიგითობის მიხედვით დაალაგონ.

ჩვენი საქმიანობის მომდევნო ნაბიჯს, თითოეული ცნებისთვის ნებისმიერი ფორმით, გონებრივ რუკაზე განმარტების ჩაწერა წარმოადგენს. ამგვარად, პირველი ნაბიჯი: თემის გააზრებაში მოსწავლეებს აძლევს საშუალებას განსაზღვრონ, თუ როგორ გვესმის თეზისის საკვანძო ცნება. ცნებებზე მუშაობის ორი საშუალება არსებობს:

- ⇨ ცნებების იერარქიის შექმნა მათი საჭიროებების გათვალისწინებით – რაც არგუმენტების დალაგებაში დაგვეხმარება;
- ⇨ საკვანძო ცნებიდან კონკრეტული არგუმენტების ჩამოყალიბება, ასევე სემანტიკურ და მსგავს არგუმენტებზე გადასვლა.

ქვემოთ, მაგალითებთან ერთად, სხვადასხვა ტიპის არგუმენტებია აღწერილი.

II. არგუმენტების შექმნა

დებატების დაწყებამდე, არ იქნება ურიგო, მოსწავლეები ჩავრთოთ თამაშში, რომელიც მათ სხვადასხვა ტიპის არგუმენტების ჩამოყალიბებაში დაეხმარება. აღნიშნული ტიპის სავარჯიშოები მათ მისცემს საშუალებას არგუმენტების რაოდენობა გაზარდონ. მოსწავლეები შეძლებენ მიაღწიონ არგუმენტების დამატებით სფეროებს, რომლებიც არ არის აშკარა და მათი მიღწევა დებატის მომზადების პირველ ეტაპზე შეუძლებელია.

ავტორიტეტული არგუმენტი ჩნდება, როდესაც ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებულ არგუმენტს ვიყენებთ: ექსპერტების აზრს, ინსტიტუციას, ან ნორმატიულ ტექსტს (ლექსიკონს, ენციკლოპედიას).

სასკოლო ცხოვრებიდან განვიხილოთ აღნიშნული ტიპის არგუმენტების მაგალითი:

- პოლონურში ყოველთვის ისმება მძიმე დამოკიდებული წინადადების წინ, რასაც პოლონური ენის ლექსიკონი გვავალდებულებს და ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ დამოკიდებული წინადადება ყოველთვის მძიმით უნდა იყოს გამოყოფილი.

როდესაც ვისმენთ ავტორიტეტულ არგუმენტს, ყოველთვის უნდა დავფიქრდეთ:

- არის თუ არა ის ზუსტად გადმოტანილი;
- არის თუ არა ავტორიტეტი ექსპერტი;
- არის თუ არა, ექსპერტის აზრი სხვა ექსპერტებისგან სადაოდ მიჩნეული;
- არის თუ არა გამოთქმული მოსაზრება მიუკერძოებელი.

საზოგადოებრივი მოსაზრების არგუმენტები – საზოგადოების, თანამეგობრობის, ან, ზოგადად, ყველა ჩვენგანის ხედვას და მოსაზრებას ეყრდნობა. არგუმენტი საკმაოდ ძლიერი იქნება, თუ ყოველდღიური ცხოვრების ეთიკას, წესებს, კულტურას და მოცემული ჯგუფის შეხედულებებს ეხება.

სასკოლო ცხოვრებიდან აღნიშნული ტიპის არგუმენტების მაგალითი განვიხილოთ:

- ⇨ თითოეული მოსწავლე დამეთანხმება, რომ პირველადი დახმარების გაწევის წესებთან დაკავშირებით (ვიყენებთ პირველადი დახმარების ერთ-ერთ პლაკატს), ამ შემთხვევაში, წესებს ვარღვევთ, რადგან მასალის რაოდენობა, რომელიც ჩვენ უნდა შევისწავლოთ, ზრდასრული ადამიანის შესაძლებლობებს აღემატება.

ამგვარი არგუმენტის ანალიზი უნდა ითვალისწინებდეს, რომ ყველას კომპეტენცია ზოგჯერ საეჭვოა. ამ ტიპის არგუმენტს, საზოგადოების აზრის ცვლილებიდან გამომდინარე, დროებითი ხასიათი გააჩნია. ზოგიერთი მოსაზრების გავრცელებას დამტკიცება უნდა.

სემანტიკური არგუმენტები – იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც ჩვენი ნათქვამი, ტრადიციული გაგებით, ცნების, ან სიტყვის ხაზგასმით გვსურს გავაძლიეროთ.

სასკოლო ცხოვრებიდან საინტერესოა ქვემოთ აღნიშნული ტიპის არგუმენტების მაგალითი:

- ⇨ რას ნიშნავს „აქტიური“ მოსწავლე? აქტიურობაში იგულისხმება საქმიანობა, დავალებების არჩევის შესაძლებლობა და არა რაღაცის აქტიურად მოსმენა, იმისდა მიუხედავად, რომ შესაძლებელია დანარჩენებისთვის იყოს საინტერესო.

განვხილოთ რამდენიმე საკითხი, რომლითაც შევძლებთ აღნიშნული ტიპის არგუმენტების უარყოფას:

- ❖ არსებული ენობრივი ერთეულების კონსტრუქცია და მათი მნიშვნელობა;
- ❖ შესაძლო გონივრული ცვლილებები;

- ❖ ტერმინოლოგიის გამოყენების შესაძლო უარყოფითი შედეგები;
- ❖ მოწინააღმდეგისგან გამოყენებული ტერმინოლოგიის გამოუსადეგარობა.

სემანტიკურ-ქვეტექსტურ არგუმენტებს დებატებზე სიტყვით გამოსვლისას ყველაზე ხშირად ვიყენებთ, როდესაც გვსურს ოპონენტისგან გამოთქმული რაიმე ცნების გაკრიტიკება, ან მისი ეჭვის ქვეშ დაყენება.

სასკოლო ცხოვრებიდან აღნიშნული ტიპის არგუმენტების მაგალითს გთავაზობთ:

- ➪ უნდა გამოვიჩინოთ ტოლერანტობა, იმ მოსწავლეების მიმართ, რომლებიც სკოლის წესებს არღვევენ. ტოლერანტობა განსხვავებულობის პატივისცემას გულისხობს. ამავე დროს, შეგვიძლია პატივი მივაგოთ იმ ადამიანებს, რომლებიც მნიშვნელოვან საზოგადებრივ უფლებებს ხელყოფენ.

არგუმენტების ანალოგია – იმ შემთხვევებში გამოიყენება, როდესაც მოვლენების, ადამიანების და სიტუაციების მსგავსებაა თვალსაჩინო.

სასკოლო ცხოვრებიდან აღნიშნული ტიპის არგუმენტების მაგალითი შემდეგში მდგომარეობს:

- ➪ წარმატების მისაღწევად, კამათის დროს, საკმარისი არ არის ნიჭის ქონა – საჭიროა ყოველდღიური, მრავალსაათიანი ვარჯიში. იმ ადამიანების პოზიცია გაუგებარია, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ლიტერატურაში ნიჭით დაჯილდოებულმა მოსწავლემ, სხვების მსგავსად, არ უნდა წეროს ესსეები.

აღნიშნული და მომდევნო არგუმენტების გამოკვლევა შემდეგ საკითხებზე უნდა კონცენტრირდეს:

- ❖ ანალოგიების ჩამოყალიბების შესაძლებლობა;
- ❖ არსებითი მსგავსება;
- ❖ სიმეტრიის რღვევისთვის არსებითი განსხვავებების არ არსებობა;
- ❖ თანაბრობის წესის დასაბუთება.

თანაბრობის წესზე დაფუძნებული არგუმენტები ვლინდება მაშინ, როდესაც ზოგიერთ მოვლენაზე არსებული წესების გავრცელება გვსურს, აგრეთვე, პირებზე და სიტუაციებზე, რომლებსაც გამოვიყენებთ მეორე, ამგვარი მსგავსი შემთხვევის დროს. თანაბრობის წესი ეყრდნობა გონივრულ პოსტულატს, თუ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი მიდგომა გაგვაჩნია. სამართლიანი იქნება, იგივე მიდგომა გამოვიყენოთ სხვა ანალოგიურ შემთხვევაში.

განვიხილოთ ამ ტიპის არგუმენტების მაგალითი სასკოლო ცხოვრებიდან:

- ➪ არავის გააჩნია პრეტენზია მასწავლებლის მიმართ, რომელიც გაკვეთილზე ხმოვან ტაიმერს იყენებს. ამიტომ, გაუგებარია, რატომ ართმევენ მოსწავლეებს მობილურ ტელეფონებს, თუ მას შემთხვევით დაურეკავენ.

განვიხილით იმ შემთხვევების მაგალითები, როდესაც გვეძლევა საშუალება მონაწილეობა მივიღოთ დებატების განხილვებში:

III. დებატების მარტივი ხერხები

III. 1 აკვარიუმი

ერთ კლასში მოსწავლეებს სურდათ ქცევის შეფასების კრიტერიუმების შესახებ დისკუსია გაემართათ. ფიქრობდნენ, თუ როგორ ჩაეტარებინათ დისკუსია, რომ აზრის გამოთქმის საშუალება ყველას მისცემოდა და ვინმეს საუბრის დომინირება არ მომხდარიყო. შეთანხმდნენ, რომ **აკვარიუმის მეთოდით** იმუშავებდნენ.

კლასის ოთახის შუაში ოთხი სკამი დადგეს. სიტყვით გამოსლის საშუალება მხოლოდ იმ მოსწავლეებს ჰქონდათ, რომლებიც ამ სკამებზე ისხდნენ. დანარჩენმა მოსწავლეებმა დისკუსიაში ჩართული მოსწავლეების ირგლივ დიდი წრე გააკეთეს.

ოთხ სკამს შორის „თევზები“ განათავსეს, ანუ ფურცლები, რომლებზეც სადისკუსიო კითხვები იყო ჩამოთვლილი: „ქცევის შეფასებაზე უნდა იქონიოს თუ არა გავლენა წარმატებულმა სწავლამ“; „სკოლის გარეთ საზოგადოებრივ მუშაობაში ჩართულობა უნდა იყოს თუ არა სანიმუშო შეფასების პირობა?“. როდესაც სადისკუსიო თემა ამოიწურა, სხვა ნაკლებად მნიშვნელოვან თემაზე გადავიდნენ.

დებატების დროს წრეში მყოფი მოსაუბრები იცვლებიან. ყველაფერი მარტივი წესის შესაბამისად სრულდება. იმ შემთხვევაში, როდესაც ვინმეს სურს დისკუსიაში ჩართვა, ერთ-ერთ დებატებში მონაწილეს უახლოვდება და მხარზე ხელის შეხებით დებატებში მონაწილეობის სურვილს ანიშნებს. ამგვარი ნიშნის მიცემით, ჯგუფის მეთვალყურე ერთვება დისკუსიაში და ის პიროვნება, ვისაც მხარზე შეეხნენ, ვალდებულია ადგილი დაუთმოს. რა თქმა უნდა, იმის შესაძლებლობაა, რომ ის მონაწილე, რომელიც უკვე მონაწილეობდა დისკუსიაში, ხელახლა დაუბრუნდეს წევრებს.

ერთ-ერთმა მოსწავლემ აღნიშნა, რომ ეს ერთადერთი სა-

შუალებაა, რომ იანეკმა, დროდადრო, ვინმეს ხმის ამოღების საშუალება მისცეს, ხოლო ანა და ანტეკი, რომლებიც ძალიან ჭკვიანები და მორიდებულნი არიან, ჯგუფს მოსაზრებებით დაეხმარონ.

III. 2 ოქსფორდის დებატები

ოქსფორდის დებატებს ერთ-ერთ გიმნაზიაში, საერთო რეფერენდუმის საშუალებით გაუწიეს ორგანიზება. ხმის მიცემისას გადაწყვიტეს მიემართათ სკოლის სასამართლოსთვის, რადგან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს შორის კამათი შედგა.

— ოქსფორდის დებატს გააჩნია უპირატესობა, რომელიც მოწესრიგებული წესით ორივე მხარისგან წარმოდგენილ პოზიციას ითვალისწინებს. აუდიტორიას საშუალება აქვს ორივე მხარის პოზიციას გაეცნოს. დებატები დისკუსიისგან იმით განსხვავდება, რომ მხარეები არ ცდილობენ ერთმანეთის გადმობირებას, არამედ იმგვარად ახდენენ თავისი პოზიციის პრეზენტაციას, რომ აუდიტორის ერთი ან მეორე მხარის პოზიციაზე გადასვლა გახდეს შესაძლებელი.

შეარჩიეს ორი ხუთკაციანი ჯგუფი. ერთი მათგანი იცავს მოსაზრებას, რომ „სკოლის სასამართლო უნდა დაკომპლექტდეს მოსწავლეთაგან და მასწავლებლებისგან“, ხოლო მეორე აღნიშნულ მოსაზრებას ეწინააღმდეგება. თითოეული ჯგუფის წევრებს კონკრეტული ამოცანა ჰქონდათ. ჯგუფის პირველი წევრი მოსაზრებას განმარტავს და არგუმენტების გეგმას წარადგენს, მეორე და მესამე წევრი უშუალოდ არგუმენტის პრეზენტაციას ახორციელებს, ხოლო მეოთხე და მეხუთე — ოპონენტების არგუმენტებს აბათილებს. მხარეთა წარმომადგენლები დებატებზე ერთმანეთის მონაცვლეობით გამოდიან. თითოეულ მომხსენებელს მკაცრად რეგლამენტირებული დრო გააჩნდა, რომლის დარღვევის უფლებაც არ აქვს. გამოსვლა სამწუთიანი იყო.

— არავინ შემაწყვეტინებს? — იკითხა ერთ-ერთმა მონაწილემ.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითონ ისურვებ. სიტყვით გამოსვლისას მოწინააღმდგეებს შეუძლიათ კითხვების, ან შენიშვნების გამოთქმა. მარჯვენა ხელის აწევით და ხმამაღლა გამოძახილით „შეკითხვაა!“ ან „შენიშვნაა!“. იმ შემთხვევაში, თუ გსურთ ოპონენტის მოსმენა, თანხმობის ნიშნად ეუბნებით „გთხოვთ“, ან შეგიძლიათ მადლობა გადაუხადოთ და თქვენი გამოსვლა გააგრძელოთ — დებატების გამართვაში უფრო გამოცდილმა მეგობარმა ამგვარად ახსნა:

— ღირს შეკითხვებზე და შენიშვნებზე ყურადრების გამახვილება?

— საერთოდ, დიახ, რადგან დებატები უფრო საინტერესოს ხდის, თანაც, სჯობს უპასუხო ოპონენტს, ვიდრე მხოლოდ შენი მტკიცებულებების განადგურებას უსმინო. მეორე მხრივ, თქვენს დავალებას მსმენელთა თქვენს მხარეზე გადმობირება წარმოადგენს, იმ შემთხვევში, როდესაც გამოსვლისთვის განკუთვნილ დროს პასუხების გაცემაში დახარჯავთ და ვერ შეძლებთ თქვენი პოზიციის გადმოცემას, ოპონენტს გირჩევთ მისცეთ შეკითხვის დასმის საშუალება მაშინ, როდესაც ის თქვენი გამოსვლის შინაარსობრივ მნიშვნელობას არ წყვეტს.

დებატებს უძღვებოდა **თავმჯდომარე**, გამოსვლისთვის გამოყოფილ დროზე პასუხისმგებლობა თანაშემწემ აიღო. დებატებში მონაწილეები ერთმანეთს პატივისცემით მოიხსენებენ და კრძალვით მიმართავენ.

III. 3 ექსპერტების პანელი

ერთ-ერთ ტექნიკუმში ინტერნეტული გვერდის მართვა მოსწავლეთა თვითმმართველობას გადაეცა. მალე აღმოჩნდა, რომ სასკოლო ფორუმის მოდერატორების აქტივობა კამათს (უკმაყოფილებას) იწვევდა. ოპონენტების ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ ისინი საკმაოდ ლიბერალურები იყვნენ, ხოლო მეორე

ნაწილი საკმაოდ მკაცრად მიიჩნევდა ცენზურას. მოსწავლეები გამოდიოდნენ სადისკუსიო პანელის ინიციატივით, იმისთვის, რომ რედაქტორთა საზღვრები განეხილათ და დაედგინათ.

ამგვარი ტიპის დისკუიისთვის იწვევენ სხვადასხვა აზრის მქონე რამდენიმე პირს, რომლებისთვისაც პრობლემა უცხო არაა. ტექნიკუმში სადისკუსიო პანელი შედგებოდა იურისტისგან, ფსიქოლოგისგან, ჟურნალისტისგან, ეთიკის მასწავლებლისგან და ერთ-ერთი მოსწავლისგან, რომლებიც ინტერნეტით სარგებლობდნენ. თითოეულის გამოსვლა გრძელდებოდა და არ აღემატებოდა ხუთ წუთს, რასაც მოდერატორი არეგულირებდა. სკოლის თვითმმართველობის თავმჯდომარემ წინასწარ იცოდა გამოსვლების შინაარსი და გამოსვლების აზრობრივად დალაგებაზე ზრუნავდა (მოდერატორს გამომსვლელისთვის საჭირო დროის გაზრდა თხუთმეტ წუთამდე შეუძლია, თუ მას მიაჩია, რომ გამოსვლა საინტერესოა აუდიტორიისთვის და გამომსვლელთა რაოდენობა სამს არ აღემატება).

გამოსვლების დასრულების შემდეგ, **აუდიტორიის საზოგადოება გამომსვლელების კომენტირებას აწარმოებს**. მსმენელები იმ საკითხებს ჩაეკითხებიან, რომლებიც მათთვის არ იყო გასაგები, აკრიტიკებენ, ან მომხსენებლების გამოსვლას იცავენ. მოდერატორს შეუძლია გამომსვლელს მისცეს სიტყვა, ან გამოსვლა შეაწყვეტინოს, თუ მიიჩნევს, რომ გამომსვლელმა საკითხს გადაუხვია, ხელოვნურად აგრძელებს საუბარს, ან ქებაზეა გადასული.

შეხვედრის დასასრულს, სიტყვით კიდევ ერთხელ გამოდიან პანელის მონაწილეები და აუდიტორიის აზრს ეცნობიან, თუ მათ გამოსვლის მიმდინარეობის დროს არ გააჩნდათ მისი საშუალება. შემდეგ საკუთარი პოზიციის მოკლედ შეჯამება ხდება. შეხვედრის დასრულებისას, მოდერატორი, აგრეთვე, შეხვედრას აჯამებს, მაგრამ თავს იკავებს შეფასებებიდან, თუ რომელი მხარე იყო მართალი და რომელი — არა.

III. 4 სოკრატეს დისკუსია

ჩვენ ყურადღებით უნდა მოვეპყროთ მიმდინარე წლის სკოლის შეფასების შიდა სისტემას და შენიშვნები მასწავლებლებს გავაცნოთ. სკოლის თვითმმართველობის ერთ-ერთმა წევრმა შემოგვთავაზა – თითოეულ კლასში საუბარი „სოკრატეს დისკუსის“ მოდელით წარგვემართა. თავს ვარიდებთ იმგვარ შეკითხვებს, რომლებზე პასუხიცაა „დიახ, ან არა“. ვკითხულობთ უფრო ღიად: **„რას გულისხმობთ პოზიტიურ უკუინფორმაციაში?“, „რა შედეგები მოყვება ამათუიმ გადაწყვეტილებას?“,** ან **„რა საშუალებითაა შესაძლებელი სკოლის შეფასების შიდა სისტემაში მოსწავლის უფლებების რეალიზება?“.**

დისკუსიის დასაწყებად ვირჩევთ კითხვებს, სხვა კითხვები წარმოიშვება თავად დისკუსიის მსვლელობის დროს. კითხვების ჩაძიების საშუალებით გაგვიმარტივდება სხვადასხვა აზრის კრიტიკული განხილვა, გადაწყვეტილების გააზრება და განმარტება.

სასურველია, შეხვედრის მსვლელობისას ვინმემ მოინიშნოს კითხვები, რომ არ დაიკარგოს საინტერესო კითხვა და შემდგომში „რიგითობის მიხედვით“ დავალაგოთ.

– ვამზადებთ საწყისს...

– ცუდად არ ჟღერს, მაგრამ რას ნიშნავს? – იკითხა თავმჯდომარემ.

– ეს საუბარია, რომელიც რაიმე მასალაზეა კონცენტრირებული და ყველასთვისაა ცნობილი. შესაძლებელია ეს იყოს ფილმი, სტატია, ან სკოლის საბუთი. ისე ვსხდებით, რომ საუბრის დროს ყველა ერთმანეთს ხედავდეს და, უპირველეს ყოვლისა, ვსვამთ კითხვას.

– რით განსხვავდება ჩვეულებრივი საუბრისგან?

– არსი მდგომარეობს იმაში, რომ ერთმანეთს, ტექსტთან დაკავშირებით, კითხვებს ყველასთვის ვუსვამთ.

III. 5 საჯარო განხილვა

ერთ-ერთ საშუალო სკოლაში მასწავლებელთა საბჭომ მასწავლებელთა შეფასების წეს-კრიტერიუმები შემოიღო, რომლებიც შესაბამისი კანონიდან გამომდინარეობდნენ, მაგრამ მასწავლებლებმა გადაწყვიტეს სხვადასხვა მოთხოვნების დამატებაც, რაც სკოლის საბჭოს დანარჩენ წევრებთან შეათანხმეს. პროექტი მომზადებისთანავე სკოლის თვითმმართველობის კურატორმა მასწავლებელთა საბჭოს წარუდგინა. მოსაზრება – მოსწავლეთა **საჯარო განხილვის** განაცხადი განიხილეს, რომელიც პოლონეთის რესპუბლიკის განკარგულებებს მოიცავდა.

– ვინ, თუ არა ჩვენი მოსწავლეები, დაგვეხმარებიან კარგი მასწავლებლის დახასიათებაში? – იკითხა დირექტორმა და მომზადება დაიწყო.

საჯარო განხილვაში, რომელიც საზოგადოების ინტერესის საგანს ეხება – გადაწყვეტილების მიმღები ორგანოები მონაწილეობენ. განხილვა მომდევნო მასწავლებელთა საბჭოს სხდომის დროს ჩატარდა. მის ჩატარებამდე, სკოლის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნდა შეფასების წესის პროექტი და, აგრეთვე, სია რომელშიც ჩაწერის შესაძლებლობა გააჩნია სიტყვით გამოსვლის ყველა მსურველს.

მოდერატორმა – თვითმმართველობის კურატორმა საჯარო განხილვა გახსნა და დამსწრეებს **მუშაობის წესები** შესთავაზა. დაადგინეს, რომ გამოსვლა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ წუთს, მომხსენებლები საკუთარი სახელით გამოვლენ და რომ ერთმანეთის მიმართ პატივისცემით იქნებიან განწყობილნი, რომ მათი გამოსვლის შეწყვეტის უფლება მხოლოდ მოდერატორს გააჩნია. ხაზგასმით აღინიშნა გამომსვლელთა თანაბარი უფლებები და გამოსვლების გამჭვირვალობა (ეს მნიშვნელოვანია, რადგან ზოგჯერ, რაიმე პრობლემასთან დაკავშირებით, ისმის მარგინალური მოსაზრება). ყველა დაეთანხმა, რომ თანაშემწისგან ჩანაწერების განხორციელების გარდა, მომხსენებლების გამოსვლების ჩაწერაც მომხდარიყო, რათა ოქმში, რაიმე მნიშ-

ვნელოვანი მოსაზრება არ დაკარგულიყო.

მოკლე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა დირექტორი, რომელმაც იურიდიული საფუძვლები და მასწავლებელთა პროექტის შინაარსი წარმოადგინა. შემდგომ, წინასწარ ჩაწერილი მიმდევრობის მიხედვით, მოსწავლეები სიტყვით გამოვიდნენ.

მოსმენის შემდეგ, დირექტორმა ყველა მონაწილეს მადლობა გადაუხადა. მოდერატორმა თანაშემწის დახმარებით მოსმენის **ოქმი** და საავტორო **განცხადებები** მოამზადა, რაც საბოლოო განკარგულების მიღებისას მასწავლებელთა საბჭომ გაითვალისწინა. სკოლის ინტერნეტგვერდზე თვითმმართველობის კურატორმა სტატია განათავსა, რომელშიც განმარტა, თუ რომელი მოსწავლის შენიშვნებს გაითვალისწინებენ და რატომ?

IV. ფართო დისკუსიის წარმართვის საშუალებები (განხილვა)

ფართო დისკუსიის წარმართვის ხერხი, რომლის განმარტებაც ქვემოდაა მოყვანილი, უფრო რთული და შრომატევადია, სამაგიეროდ, სკოლის მესვეურნი ადვილად ერთვებიან ამ ხერხში, რასაც კონკრეტული დავალებებისა და გადაწყვეტილებების მიღება მოყვება. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს უფრო მეტია, ვიდრე დიკუსიის ფორმა, რაც დისკუსიის საშუალებით ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების ფორმას წარმოადგენს (ე. ი. განხილვის დემოკრატიული ფორმაა).

IV. 1 სამოქალაქო სკამი (ადგილი)

ერთ-ერთ სკოლაში ახალი სათამაშო მოედნის პროექტთან დაკავშირებით ემოციური დისკუსია გაიმართა. საუბარი სკოლასთან არსებული ტერიტორიის საჩოგბურთე კორტად გადაკეთებას ეხებოდა (აღნიშნულ ტერიტორიაზე დარგული ხეები და რამდენიმე სკამი იყო განთავსებული). თავის მხრივ, მისი გაქირავება სკოლას დამატებით შემოსავალს მოუტანდა.

ამგვარად, სასწორის ერთ მხარესაა კლიმატი და ადგილი, ხოლო მეორე მხარეს თანამედროვე ჩოგბურთის კორტი, რომელსაც სკოლისთვის შემოსავალი მოაქვს. სკოლის თვითმმართველობამ დირექციას **სამოქალაქო სკამის** ორგანიზებაში დახმარება სთხოვა.

სამოქალაქო სკამი 15-20 პირისგან შემდგარ ჯგუფს წარმოადგენს, რომელიც პრობლემის გადაჭრის მიზნით, მთლიანი საზოგადოების, ან მისი ერთი ნაწილის სახელით გამოდის.

სკოლამ ოთხი სკამი გამოყო (თითოეული თხუთმეტი პიროვნებისთვის): მოსწავლეთა, მშობელთა, მასწავლებელთა და ადგილობრივ მეწარმეთა სკამები. ოთხივეს წარმომადგენლები გიმნაზიის დარბაზში დასხდნენ ოთხ მაგიდასთან და **მოსაზრებები მოისმინეს.** საკუთარი მოსაზრებები მოკლედ გამოთქვა სკოლის დირექტორმა, ფირმის მესაკუთრემ, რომელსაც უნდა აეშენებინა კორტები, ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტმა და რაიონის მუნიციპალიტეტის ურბანიზატორმა (ურბანიზაციაზე პასუხისმგებელი პირი). გამოსვლების შემდეგ სკამზე მსხდომ პირებს მომხსენებლებისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა მიეცათ. პროცესს აკვირდებოდა **შეკრებილი აუდიტორია.** კითხვების დასმის შემდეგ, ოთხივე მაგიდასთან მყოფებმა მოსაზრებების განხილვა დაიწყეს.

მათი მუშაობის შედეგს წარმოადგენდა მიღებული **დასკვნები და რეკომენდაციები**, ხოლო მშობლების და ბიზნესმენების ჯგუფების მხრიდან, კონკრეტული ქმედებების დეკლარირება. მშობლებმა მოიწონეს კორტების აშენების კონცეფცია და გამოთქვეს მზადყოფნა სკოლის ეზოში, შეხვედრებისთვის „ძველი სკამების“ მსგავსი ახალი ადგილის კეთილმოწყობაში. ბიზნესმენების ჯგუფმა მოსწავლეებს სკოლისთვის დამატებითი შემოსავლის მიღების რამდენიმე საშუალება შესთავაზა.

სამოქალაქო სკამის სხდომას ესწრებოდნენ რაიონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, რომლებიც დამსწრეებს დაპირდნენ, რომ მოქალაქეების აზრის გათვალისწინებით, კვირის

განმავლობაში, შესაბამის **გადაწყვეტილებას** წარმოადგენდნენ.

მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარემ, ადგილობრივ რადიოში სიტყვით გამოსვლისას, აღნიშნა: „არ ვიცი, რა გადაწყვეტილებას მიიღებს მუნიციპალიტეტი, მაგრამ მოხარული ვარ, რომ ყველას მიეცა საშუალება მოესმინა არგუმენტები, გაეგო სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფის პოზიციები და სამოქალაქო სკამზე მყოფი პირების მზადყოფნა სკოლისთვის დახმარების გაწევის საქმეში“.

IV. 2 ალტერნატიული შეჯიბრი (მულტიკრიტერიული ანალიზი)

ერთ-ერთი სკოლის თვითმმართველობამ 5000 ზლოტი (პოლონური ფული) მიიღო და სკოლის მოსწავლეებთან დისკუსიის საშუალებით სცადა გადაეწყვიტათ, თუ რაზე დაეხარჯათ აღნიშნული თანხა. შეთახმდნენ **ალტერნატიული შეჯიბრის (მულტიკრიტერიული ანალიზის)** ჩატარებაზე. თავდაპირველად მოსწავლეებს შეთავაზებების მოფიქრება სთხოვეს. კვირის განმავლობაში მოსაზრებების ყუთს ავსებდნენ. მეორე ნაბიჯს თითოეულ კლასში ალტერნატიულ კონცეფციებს შორის **დისკუსიების კრიტერიუმების** არჩევა წარმოადგენდა. ამ დისკუსიის მოდერატორები ყურადღებას აქცევდნენ, რომ ყოფილიყო კრიტერიუმები და არა კონკრეტული მოსაზრებები. კლასის წარმომადგენლებმა ექსპერტთა პანელი შექმნეს და ერთ **საერთო სიაში** კლასების მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმები ჩაწერეს. სიაში ხუთი კრიტერიუმი იყო და თითოეულ კრიტერიუმს 1-დან და 5 ქულამდე ენიჭებოდა (მაგალითად: მოსაზრების რეალიზაციით შევიძენთ აღჭურვილობას, რომელსაც დიდხანს გამოვიყენებთ, 5 ქულა მიენიჭა, ხოლო კრიტერიუმებს: „მოსაზრების რეალიზაციით მასში სკოლის მოსწავლეთა ნახევარი ჩაერთვება“ – 4 ქულა მიენიჭა). კრიტერიუმების განსაზღვრის შემდეგ კლასებმა კიდევ ერთხელ წარადგინეს წამომადგენლები, მათ კი ექსპერტთა მეორე პანელი შექმნეს. წარმომად-

გენლები არ მონაწილეობდნენ კრიტერიუმების შემუშავებაში. მეორე პანელის ექსპერტები **თითოეულ მოსაზრებას**, პროექტის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში **ქულას ანიჭებდნენ**. ბოლოს განცხადებას გააკეთებდნენ ალტერნატივების რიგითობის შესახებ, გამოავლენდნენ გამარჯვებული პროექტის კონცეფციას და მინიჭებული ქულებით შეაფასებდნენ.

IV. 3 განხილვის გამოკითხვა

ერთ-ერთ სკოლას მასწავლებელთა საბჭომ ბუნების მეტყველების საგნის სწავლების საავტორო პროგრამის შემოღება შესთავაზა. თვითმმართველობის სამუშაოების ხელმძღვანელებმა იანეკმა და მალგოჟატამ აღნიშნეს, რომ ურიგო არ იქნებოდა, თუ ამ საკითხთან დაკავშირებით მოსწავლეებიც შეძლებდნენ საკუთარი აზრის გამოთქმას. „საბოლოოდ, ჩვენ ვასრულებთ აღნიშნულ პროგრამას“. ბიოლოგიის მასწავლებელმა იკითხა: „თუ როგორ აპირებდნენ პროგრამაზე დისკუსიის გამართვას, როდესაც ვერ ერკვეოდნენ დიდაქტიკაში და ბიოლოგიის საშუალო ცოდნა გააჩნდათ?“

– მოსწავლეები დაეთანხმნენ მას. შესაძლებელია თუ არა, რომ მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღონ მერიტორიულად ძალიან რთულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში? ამავდროულად მალგოჟატამ **განხილვის გამოკითხვა** შესთავაზა.

დაინტერესებული მოსწავლეები[1] (მოგვმართა 31-მა მოსწავლემ) პროგრამას გაეცნენ და დამოუკიდებლად შევსებული ანკეტის საშუალებით მოსაზრებები გამოთქვეს. ანკეტების გაცნობისას, ბიოლოგიის მასწავლებლის შიში დადასტურდა.

---

[1] განხილვის გამოკითხვაში მონაწილე მოსწავლეების არჩევისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ყველა არსებული ჯგუფის, ორივე სქესის და სხვადასხვა მოსაზრების და დაინტერესების მქონე წარმომადგენლების მონაწილეობაზე (ვინაიდან ამ დამახასიათებელზეა დამოკიდებული მოსწავლეთა გამოკვლევის მიზანი).

შემდგომში სკოლის და სკოლის გარედან მოწვეულ **ექსპერტებთან შეხვედრის დროს** მათ კითხვებს ვუსვამთ. ექსპერტების როლში გამოვიდნენ ბუნების მეტყველების მასწავლებლები, ორი მშობელი, რომლებსაც ბუნების მეტყველებაში ჰქონდათ მიღებული განათლება და ექსპერტი მასწავლებელთა სრულყოფის ცენტრიდან. მოსწავლეთა ჯგუფში იმსჯელეს მიწოდებული ინფორმაციის შესახებ და ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაუკავშირდნენ ექსპერტებს და მათთვის ზოგიერთი საკითხის განმარტება სთხოვეს. შემდეგ მოსწავლეები ისევ შეიკრიბნენ და მზად იყვნენ პროცედურების იქამდე გამეორებისთვის, სანამ კითხვები და ეჭვები ექნებოდათ. მათი დისკუსია არ გულისხმობდა მოსაზრების შეთანხმებას – მოსწავლეებს უბრალოდ უფრო მეტი ინფორმაციის მიღება სურდათ. ინფორმირების პროცესის დასრულებისას და მოსწავლეთა დისკუსიის ჩატარებისას, მათ ხელმეორედ მოუწევთ პროექტის შესაფასებლად ანკეტის დამოუკიდებლად შევსება.

მასწავლებელთა ჯგუფი ანკეტებს გაეცნო. ბუნების მეტყველების მასწავლებლებს ანალიტიკოსებმა შემდეგი **რეკომენდაციები** მისცეს:

ა) სამუშაო დავალებების დაგეგმილი სისტემის შეცვლა, რომელიც კონსულტაციებამდე და კონსულტაციის შემდგომ არ მოეწონათ მოსწავლეებს;

ბ) მოსწავლეებისთვის საგნების შინაარსის დაწვრილებით განმარტება, რომლის გაგებაც შესაძლებელია მხოლოდ კონსულტანტების დახმარებით;

დ) საათების გაზრდა იმ თემებთან დაკავშირებით, რომელიც მოსწავლეებმა შესთავაზეს. მოსაზრება ანკეტებიდან დაიბადა, როდესაც მასწავლებელთა სრულყოფის ცენტრიდან მოსწავლეებს შეატყობინეს, მისი ცვლილების შესაძლებლობაზე.

ბიოლოგიის მასწავლებლის სკეპტიციზმის მიუხედავად, რეკომენდაციები გაითვალისწინეს და **ცვლილებები შეიტანეს**.

IV. 4 იდეების კაფე
(WORLD CAFÉ)

ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებლებმა მოსწავლეებს, სკოლის საზეიმო მორთულობასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების მიღება შესთავაზეს: „ხელები გაქვთ გახსნილი“. შარშანაც იგივე იყო ნათქვამი, მაგრამ დამთავრდა ისე, როგორც დამთავრდა. ჯერ მოსწავლეებმა იჩხუბეს, მერე კი მასწავლებლებმა ისე შეცვალეს პროექტი, რომ ის მოსწავლეთა ჯგუფს, რომლებსაც შემორჩენილი ჰქონდათ პროექტში ჩართულობის განცდა, აღარ გააჩნდათ მისი რეალიზაციის სურვილი. არის თუ არა შესაძლებელი, რომ მოსწავლეთა დიდ ჯგუფში შემუშავდეს პროექტი, რომელშიც შემდგომში ყველას მოუნდება მონაწილეობის მიღება? სოციალური კვლევის მასწავლებელმა შესთავაზა **იდეების კაფეს არჩევა ანუ World Café**. „ეს მეთოდი საშუალებას იძლევა უკეთ, გავერკვეთ ხედვაში, თავიდან ავიცილოთ დაპირისპირება, გავაერთიანოთ სხვადასხვა იდეა და გეგმა“.

სანამ დავიწყებდით დისკუსიას, მოვამზადეთ კაფე. სპორტის დარბაზში დავდგით რამდენიმე მაგიდა (მაგიდების რაოდენობა გამომდინარეობს მოსწავლეთა რაოდენობიდან, ერთ მაგიდასთან 5-6 პირი ზის). თითოეულ მაგიდაზე დავაწყეთ დიდი ზომის ქაღალდის ფურცლები (ფლიპჩარტები), ფლომასტერები და ფანქრები. მყუდრო ატმოსფეროს შესაქმნელად, თერმოსები და ორცხობილები მოვიმარაგეთ.

მოსწავლეები მაგიდასთან დასხდნენ. შეხვედრის წამყვანმა, თვითმმართველობის თავმჯდომარის მოადგილემ – მარტამ, მოსწავლეებს მუშაობის წესები გააცნო: „საუბრები **წარიმართება** ეტაპებად – თითოეული ოცი წუთის ხანგრძლივობით. ეტაპის დაწყებამდე დაისმება **ერთი კითხვა**, რომელსაც ოცი წუთის განმავლობაში უნდა გაეცეს პასუხი. მომდევნო კითხვა დაკავშირებული იქნება ჩვენი თემის განვითარებასთან. თითოეული აზრი **დახატეთ, ან დაწერეთ ქაღალდის ფურცელზე (ფლიპჩარ-**

ტებზე) „სუფრაზე“, რომლებსაც ხედავთ თქვენს მაგიდაზე. მუშაობის დამთავრებისას დაფიქრდით, თუ ჩანაწერებიდან რა არის ყველაზე **მნიშვნელოვანი**, ხაზი გაუსვით მას, ან ჩაწერეთ სტიკერებზე (თითო მოსაზრება – ერთ სტიკერზე) – და **„სუფრაზე“** მიამაგრეთ.

თითო მაგიდასთან **„მასპინძლის“** როლში ერთი პიროვნება უნდა დარჩეს, მაგიდის დანარჩენი წევრები მიდიან სხვადასხვა მაგიდასთან, რომ მოხდეს ჯგუფების გადაადგილება. მაგიდასთან მდგომი მასპინძელი აცნობს დაინტერესებულ პირებს ძირითად თემებს, რომლებიც სტიკერებზეა ჩამოთვლილი და პასუხს სცემს კითხვებზე, რომლებიც სუფრაზე დაწერილი მოსაზრებებიდან გამომდინარე იბადება. „მასპინძლები“ ცდილობენ სტუმრები, მათი მაგიდის იდეებზე დაყრდნობით, მათ მოსაზრების განვითარებაში ჩართონ. ამგვარად ხდება იდეების გაცვლა და გაცნობა. იმ შემთხვევაში, თუ სუფრაზეა ნახატი, განავრცეთ იგი. არ არის სავალდებულო მხოლოდ წერის, ან ხატვის არჩევა, სუფრაზე ორივე დაეტევა. მნიშვნელოვანია, რომ **განავითაროთ „მემკვიდრეობითი იდეები“** და არ მოახდინოთ მათი მორგება წინა იდეებთან. თქვენი კონცეფციების შესახებ სხვები იზრუნებენ.

არ არის სავალდებულო ერთი და იგივე მასპინძელი ერთ ეტაპზე მეტი დროით დარჩეს მაგიდასთან. ვის შეუძლია გამოვიდეს ამ როლში. მნიშვნელოვანია, რომ გუნდებს შორის არსებობდეს კავშირი, რათა გუნდის ყველა წევრს (არა მხოლოდ საუკეთესოს, ან ყველაზე სუსტ წევრს) მიეცეს გამოთქმის საშუალება იმისთვის, რომ განვავითაროთ ჩვენს მიერ გამოთქმული იდეა.

ბოლო ჯგუფი წარმოგვიდგენს კითხვებზე პასუხების გაცემისას მათი მაგიდასთან მუშაობის საბოლოო ეფექტს. ჩამოთვლილი შემოთავაზებებიდან ამოირჩევა ის, რომელიც ყველაზე მეტად მოგვეწონება და საიდანაც მომდევნო ეტაპის საკითხები ყალიბდება:

1. რა თემებზე/მოტივებზე/სიმბოლოებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება?

2. იქნება თუ არა სკოლა მთლიანად მორთული ერთი იდეის მიხედვით, თუ სკოლის სხვადასხვა ადგილი იქნება სხვადასხვა იდეის მიხედვით მორთული, რა ადგილები იქნება და რა მორთულობა ექნება მათ?

3. რა დევიზით შეირჩევა, კონკრეტულად, რას ვაკეთებთ?

IV. 5 ღია სივრცე
(OPEN SPACE)

დებატები – დებატებად, მაგრამ, არსებობს რაღაც, რასაც ჩვენ ვერ გადავლახავთ. პირველი – დებატებში მონაწილეობას იღებს მოსწავლეთა შეზღუდული რაოდენობა, მეორე – თემების არჩევისას, ყოველთვის დარჩება უკმაყოფილოთა ჯგუფი, რომლებსაც სხვა თემების განხილვა სურდათ, მესამე – როგორი საინტერესოც არ უნდა იყოს შეხვედრა კულუარებში, საუბრები უფრო საინტერესოა. რა გავაკეთოთ, რომ სხვადასხვა თემაზე გამართული დისკუსია გავრცელდეს სკოლაში? – სთქვა, თვითმმართველობის ერთ-ერთმა ამბიციურმა თავმჯდომარემ, რომელსაც მხოლოდ მასშტაბური იდეები აინტერესებდა.

მისი მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელია განხორციელდეს ღია სივრცის მეთოდის საშუალებით. ორგანიზებულ ღია სივრცეში (**Open Space**) მონაწილეობდა 20-დან 1000-მდე პირი. როგორც წესი, ეს მეთოდი თემების და ლიდერების დემოკრატიული არჩევით და წარმატებული თვითორგანიზებული ჯგუფების არსებობის მაგალითებით ხასიათდება. ყველაფერი, რაც საჭიროა ღია სივრცის მეთოდისთვის, ყველა სკოლას გააჩნია: ერთი დიდი დარბაზი და ცარიელი კედელი, რამდენიმე ათეული მაგიდა, სადაც დისკუსია იმართება და მრავალი ადამიანი იკრიბება, რომლებსაც

სურთ ამ თემების შესახებ საუბარი, ვინაიდან ისინი მათთვის მნიშვნელოვანია.

პირველ ეტაპს ვუწოდებთ **ბაზარს**, სადაც თითოეულს გააჩნია უფლება სადისკუსიოთ თემა შესთავაზოს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია შეზღუდვების დაწესებაც (მაგალითად: საუბრები სკოლის შესახებ). დარბაზის **კედელზე ვკიდებთ** დიდ პლაკატებს (ფლიპჩარტებს), რომლებზეც თემების ჩამონათვალია ჩამოწერილი.

მასწავლებლების მიერ მოყვანილია ერთ-ერთ ღია სივრცედან ჩატარებული რამდენიმე სადისკუსიო თემა:

- როგორ უნდა ვიმუშაოთ მოსწავლეთა უნარების კონცენტრაციაზე?
- როგორ შევაფასოთ, რომ შესაძლებელი გახდეს მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის გაძლიერება?
- რა ხერხით მივცეთ საშინაო დავალება, რომ მოსწავლეებმა იქონიონ მისი შესრულების სურვილი?
- როგორ შეუძლიათ მშობლებს შვილებს გაკვეთილების მომზადებაში დაეხმარონ?
- რა გავაკეთოთ იმისთვის, რომ მოსწავლეებმა გაიმეორონ განვლილი მასალა, რაც მათ მის ათვისებაში დაეხმარება? (როგორ ავიცილოთ ხერხი **„დაზეპირება-ჩათვლა-დავიწყება?“**)
- როგორ გავიგოთ, რომ მოსწავლეები მეცადინეობისას ითვისებენ მასალას?
- რომელი მეგობრული მეთოდების გამოყენებით, შევძლებთ მოსწავლეებში სწავლის პროცესის დანერგვას?
- როგორ განვახორციელოთ კლასში მასწავლებლის მუშაობის ორგანიზება ისე, რომ ინდივიდუალური მიზნების რეალიზაცია მოხდეს და არა მოსწავლის დროსთან კონკურენცია?

მეორე ეტაპი **არჩეული თემების დისკუსიით** იწყება. რომელიმე თემით დაინტერესებულები იწყებენ დისკუსიას (თქვენ არ უნდა აიღოთ პასუხისმგებლობა იმ თემაზე, რომელიც მათ აირჩიეს), თემის დასახელებას ხმამაღლა კითხულობენ და თემით დაინტერესებულ პირებს მოიზიდავენ. ერთად მიდიან სადისკუსიო მაგიდასთან. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფი აღემატება 10-12 პიროვნებას, იგი რამდენიმე ჯგუფად იყოფა, რომლებიც დამოუკიდებლად გააანალიზებენ ამორჩეულ თემასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ინფორმაცია, თუ სად და რა თემის შესახებ იმართება დისკუსია, ცალკე პლაკატზე განთავსდება, რაც ახალ წევრებს მათთვის საინტერესო გუნდთან მიერთებაში დაეხმარება.

არჩეული თემებით მონაწილეების მაგიდებთან განთავსება არ გამორიცხავს მოსწავლეთა შესაძლო გადაადგილებას. ფუნდამენტურად ღია სივრცეს (**Open Space-ს**) გააჩნია **„შეწყვეტის ორი უფლება“**, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერ დროს არსებობს ჯგუფის დატოვების და სხვა ჯგუფში გადასვლის შესაძლებლობა, იმ შემთხვევებში: თუ თავდაპირველად არჩეული ჯგუფი აღარაა საინტერესო; მნიშვნელოვანი საკითხი უკვე განხილულია და შესაბამისი ჩანიშვნებიცაა გაკეთებული; არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა.

„შეწყვეტის ორი უფლება“ არ ვრცელდება თანაშემწეებზე, რომლებიც ჯგუფებმა აირჩიეს და შესაბამის ჩანაწერებს აკეთებენ.

30 წუთის გასვლის შემდეგ, თანაშემწეები მნიშვნელოვან მოსაზრებებს ჩამოწერენ პლაკატზე. თანაშემწე, ან ჯგუფის სხვა წარმომადგენლები შემდგომში აღნიშნულ მოსაზრებებს გამოიტანენ ფორუმზე. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს მიაჩნია, რომ ის, რაც აინტერესებდათ, უკვე გამოხატეს და მსჯელობა 30 წუთზე ადრე დაამთავრეს, შეუძლიათ უფრო ადრეც დაიშალონ.

მესამე ეტაპი – **კვლავ ვირჩევთ თემებს და ვაყალიბებთ** ჯგუფებს. შესაძლებელია ისეთი თემების განხილვაც, რომელიც

ადრე არ იყო განხილული, ან განიხილებოდა, მაგრამ სხვა შემადგენლობით. დაინტერესებულთა მეორე ჯგუფის მონახვის შემთხვევაში, მეორე ეტაპში აღწერილი აქტივობა მეორდება.

ეტაპების რაოდება არსებული დროიდან და განსახილველი თემების რაოდენობიდან გამომდინარე განისაზღვება. არსებობს რამდენიმედღიანი ღია სივრცე, მაგრამ სკოლის პირობებში სავსებით ოპტიმალურია 2-3-რაუნდიანი ეტაპი.

ჯგუფებში მუშაობის დასრულების შემდეგ ყველა მონაწილე ხელახლა იკრიბება. დებატების შედეგად წარმოშობილი პლაკატები კედელზე იკიდება და მათი გაცნობის საშუალება ყველას ეძლევა. ჯგუფის ყველა წარმომადგენელი დისკუსიის შედეგების მოკლე პრეზენტაციას ახდენს.

შედეგების პრეზენტაციით არ მთავრდება პროცესი, მას მოყვება **განმარტება**. თითოეული მონაწილე ორ კითხვას პასუხობს: თუ ჩამოთვლილი საკითხებიდან, რა იყო ყველაზე შთამაგონებელი და რის გაკეთებას აპირებენ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით?

ამ განმარტებებიდან გამომდინარე, მონაწილეები წყვილებად იყოფიან, სასურველია დაწყვილება იმ პირებთან, ვისთანაც არ ჰქონიათ საუბარი. საუბრის შემდეგ სტიკერებზე ჩამოთვლიან, თუ რის გაკეთებას გეგმავენ მათ პრობლემასთან დაკავშირებით და ანონიმურად აწებებენ პლაკატებზე.

პლაკატები და სტიკერები, რომლებზეც ჩამოთვლილია, თუ რის გაკეთებას გეგმავენ, რამდენიმე დღე უნდა ეკიდოს კედელზე, **რათა ყველას მიეცეს მათი გაცნობის საშუალება**. სასურველია, რომ იგი გადაიწეროს იმ შემთხვევისთვის, თუ იგეგმება ღია სივრცის ფარგლებში შემაჯამებელი შეხვედრის გამართვა. როგორც წესი, რამდენიმე თვის შემდეგ ღია სივრცის მონაწილეები ერთმანეთს ხვდებიან, რომ განმარტონ, თუ რისი გაკეთება შეძლეს, რისი გაკეთება ვერ განხორციელდა და რა იყო მისი გამომწვევი მიზეზები.

IV. 6 წარმატებაზე აშენება
(APPRECIATIVE INQUIRY)

მეკითხებით, თუ როგორ შევძელით სკოლაში პოზიტიური ცვლილებების შეტანა, ჩხუბის, დამნაშავეების ძიების, მასწავლებლების იმაში დადანაშაულებით, რომ ყოველთვის კმაყოფილები არიან მოსწავლეები, რომლებსაც არაფერი არ უნდათ დისკომფორტული ატმოსფეროს არსებობის და მუდმივი ჩავარდნების გაანალიზების გარეშე? კეთილი, გიპასუხებთ, რადგან ვარ წარმატებული თვითმმართველობის თავმჯდომარე. ზედმეტი მორიდების გარეშე აღსანიშნავია, რომ ჩემს მიერ აღწერილ მეთოდში, მორჩილება წინააღმდეგობად აღიქმება.

ცვლილებები წარმოადგენს სირთულეს, თუ იგი ამოუცნობ მომავალს ეხება და თავზარის დაცემის შეგრძნებას გიჩენთ. „წარმატებაზე აშენებისას“, ვიყენებთ გამოცდილებას წარსულიდან, რათა დავგეგმოთ მომავალი. არ ვაკრიტიკებთ იმას, რაც არ გამოგვივიდა და ვაანალიზებთ მას, რაც გამოგვივიდა. ვიკვლევთ, რატომ მივაღწიეთ წარმატებას, იმისთვის, რომ უფრო მეტ წარმატებას მივაღწიოთ. ამგვარი ტიპის საქმიანობას ზეგავლენა მოტივაციაზე გააჩნია: ადამიანებმა, რომლებმაც მასში ადრე მიიღეს მონაწილეობა, იციან, თუ როგორ და რა აკეთონ, მათ გააჩნიათ რწმენა, რომ შეძლებენ მის ხელახლა გაკეთებას.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია, თუ რით განსხვავდება პრობლემების გადაწყვეტა წარმატებებზე აშენებისგან.

პრობლემების გადაწყვეტა	წარმატებაზე აშენება
სკოლის სუსტი მხარეების იდენტიფიცირება	ძლიერი მხარეების აღწერა
სირთულეების მიზეზების გაანალიზება	ვაანალიზებთ, თუ როგორ გავზარდოთ წარმატება
პრობლემების გადაწყვეტის გზების ძიება	ხედვა, თუ რისი მიღწევა გვსურს
მკურნალობის პროცესი, სისუსტეების გამოსწორება	ინოვაციების დანერგვა. არსებული ძლიერი მხარეების განვითარება

წარმატებაზე აშენებაში ჩვენი მუშაობა შემდეგ პირობებს ეყრდნობოდა:

1. შეგვიძლია წარმოსახვის საშუალებით შევიცვალოთ;
2. გამოსავლის ძიების დროს, იწყება რეალობის შეცვლა;
3. რაც უფრო დაწვრილებით გავაანალიზებთ წარმატებას, მით უფრო ღრმა ცვლილებები წარმოიშვება;
4. ღია პროცესებში, შესაძლებელია, ინტერპრეტირება სხვადასხვა ხერხით;
5. არ ვუარყობთ პრობლემებს და სხვაობებს, უბრალოდ, მათზე არ ვმუშაობთ;
6. თუ ვაპირებთ წარმატებაზე აშენების მეთოდის გამოყენებას, იგი ზედმეტი მორიდების გარეშე უნდა აღვწეროთ.

წარმატებაზე აშენების მეთოდით მუშაობისას გასავლელია შემდეგი ეტაპები:

1. **თემის დასახელება,** მაგალითად, მოსწავლეები გავლენას ახდენენ იმაზე, თუ რაც სკოლაში და კლასში ხდება;

2. აღმოვაჩენთ და ჩამოვთვლით იმ საქმიანობებს და პროცესებს, რომლებიც ყველაზე უკეთესად გამოგვდის. ვიკრიბებით ჯგუფებში. თემიდან გამომდინარე, მონაწილეობენ მოსწავლეები, მასწავლებლები, ზოგჯერ მშობლები და სხვ., რომლებიც სკოლის ცხოვრებაში არიან ჩართულნი. უპირველესყოვლისა, **ვიხსენებთ ისტორიას**: ჩვენთვის საინტერესო სფეროს სიტუაციებს, როდესაც მივაღწიეთ წარმატებებს, ან ვიყავით მისი მოწმეები. ყველაზე მეტად რას ვაფასებთ ჩვენს საქმიანობაში,

ან პირად ქცევაში, რაც დაკავშირებულია პრობლემის გაანალიზებასთან? რა საქმიანობამ მიაღწია ყველაზე საუკეთესო შედეგებს?

რა არის ჩემში განსხვავებული, რაც დამეხმარება ამ ტიპის საქმიანობაში?

ზემოაღნიშნულის შემდეგ ვახდენთ ჩვენი **ისტორიის გაანალიზებას**. ვატარებთ მოლაპარაკებებს და ინტერვიუებს: რა სიტუაციისას შევძელით იმის გაკეთება, რაც აღვწერეთ? რა ტიპის ქცევამ და თვისებებმა გამოიწვია იგი; რა გვესაჭიროებოდა მის გასაკეთებლად; ამ ტიპის საქმიანობაში რამ მოგვანიჭა კმაყოფილების შეგრძნება?

სამშაბათს გავიყავით ჯგუფებად და გავიხსენეთ ის სიტუაციები, როდესაც შევძელით კლასში და სკოლაში მოსწავლეების საქმიანობაზე გავლენის მოხდენა, რაზედ საუბრობდნენ მასწავლებლები, მოსწავლები და აღმზრდელები. პლაკატები გაკეთებული იყო შემდეგი პირობით: ერთი პლაკატი – ერთ წარმატებაზე. აღნიშნულ შეხვედრაზე გავაანალიზეთ და აღვწერეთ ის თვისებები, რომლებმაც გავლენა იქონია პლაკატზე აღწერილ წარმატებებზე.

ოთხშაბათს ერთ-ერთი კლასის წარმომადგენელმა დამატებითი ინტერვიუ აიღო პლაკატზე მომუშავე მონაწილეებისგან, რომ აღწერილი მიღწევების შესახებ მეტი ინფორმაცია მიეღოთ. სხვა კლასის წარმომადგენლებმა გადახედეს სკოლის ქრონიკას, ინტერნეტული გვერდის არქივს, სასკოლო გაზეთს, სურათებს. მოიპოვეს უამრავი მონაცემი და მოძიებული ინფორმაცია პლაკატს მიაწერეს.

ხედვა, თუ რისი მიღწევა გვსურს მომავალში

ორშაბათს გაკვეთილების შემდეგ შევიკრიბეთ, რომ ყველაზე საუკეთესო საქმიანობა ამოგვერჩია, რომელიც აღწერილი გვქონდა. დავიყავით ჯგუფებად და დავიწყეთ ცვლილებების შესახებ სკოლის ხედვის განხილვა, რომელშიც შესაძლებელი იყო ცვლილებების განხორციელება. ჩვენ არ გვადარდებდა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ხედვა ძალიან გადაჭარბებული იყო – „თუ ერთხელ შევძელით მისი გაკეთება – მის გაკეთებას კიდევ ერთხელ შევძლებთ“.

დეტალურად ვგეგმავთ იმ საქმიანობას, რომელიც სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს, რაც ადრე შესრულებულ საქმიანობას ეფუძნება.

მომდევნო ორშაბათს მასწავლებლებთან ერთად შერეულ ჯგუფებში ვმუშაობდით ცალკეულ ხედვაზე, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან გვეძლევა საშუალება შევათანხმოთ ის საქმიანობა, რომელიც დასახულ მიზნამდე მიგვიყვანს. გამოვიყენეთ ის გამოცდილება, რომელიც პირველი ეტაპის დროს აღწერილი იყო პლაკატებზე. საქმიანობა გავანაწილეთ დროის მიხედვით და იმ პირების (გუნდების) მითითებით, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ დასახული საქმიანობის განხორციელებაზე. „ჰო და ზუსტად წარსულის ნაწერებისგან იქმნება მომავალი“, – აღფრთოვანებულმა ისტორიის მასწავლებელმა შეხვედრა ასე შეაჯამა.

განვახორციელოთ ჩვენი იდეა.

ამის გაკეთებას დავიწყებთ ბოლო სამშაბათიდან.

და ეს წარმატებული ადამიანის ნაამბობიაა. სცადეთ, მესამე ცდაზე ნამდვილად შეძლებთ ამის გაკეთებას.